

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ზამოცემის 48-ე წელი | № 1 (13997) | ორშაბათი, 1 იანვარი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.

საახალწლო მილოცვა საბჭოთა ხალხს

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

სულ რამდენიმე წუთი გვაშორებს მომავალ ახალ წელს. კარგი, მადლობის გრძნობით ვაცილებთ მიმავალ 1967 წელს. ხალხის მეხსიერებაში იგი სამუდამოდ დარჩება როგორც წელი კომუნისტური ერის კალენდრის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ფურცლის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა.

ოქტომბრის იუბილეს საბჭოთა ხალხი შეეგება შემოქმედებითი ძალებით აღსავსე, თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული, ლენინის ანდერძისადმი დიდი ერთგულებით აღსავსე.

საბჭოთა სახელმწიფოს ნახევარი საუკუნის იუბილე სოციალიზმის დიადი გამარჯვებების, კომუნიზმის იდეალების განხორციელებისათვის საყოველთაოსახალხო გმირობის უკვდავი სიდიადის მკაფიო დემონსტრაცია იყო. ჩვენი ბრძოლისა და გამარჯვებების სახელოვანი შედეგები იწვევენ საბჭოთა ადამიანების სიამაყეს თავიანთი მძლავრი სოციალისტური სამშობლოსათვის.

ყველაფერი, რაც იბადება შრომითს ყოველდღიურობაში — ქარხნები და ელექტროსადგურები, უხვი მოსავალი მინდვრებში და მძლავრი კოსმოსური ხომალდები, ახალი საცხოვრებელი რაიონები და სკოლები საბჭოთა ხალხის დაუცხრომელი შემოქმედებითი აზროვნებისა და აღმშენებლობითი საქმიანობის ნაყოფია. ჩვენმა მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ, ინტელიგენციამ, ჩვენმა სახელოვანმა ახალგაზრდობამ, საბჭოთა ქალებმა გამოიჩინეს და იჩენენ უმაგალითო ენერგიასა და თავდადებას ახალი საზოგადოების მშენებლობაში. სოციალიზმის დიად მონაპოვრებს საიმედოთ იცავენ ჩვენი მამაცი შეიარაღებული ძალები.

მთელი თავისი მიღწევებით საბჭოთა ადამიანმა მოიხვეჭა XX საუკუნის ჭეშმარიტი გმირის — უდრეკი რევოლუციონერის, დაუცხრომელი მშრომელის, კომუნისტურ საწყისებზე საზოგადოების გარდაქმნისათვის მგზნებარე მებრძოლის სახელი.

გასულმა, საიუბილეო წელმა ახალი დიდი წარმატებანი მოგვიტანა სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. ურღვევი ძმური ერთიანობით, ინტერესებისა და მიზნების ერთობით შედუღაბებულნი, საბჭოების მრავალეროვანი ქვეყნის მშრომელნი წარმატებით ახორციელებენ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს. ქალაქებისა და სოფლების მშრომელებმა მაღლა აღმართეს სოციალისტური შეჯიბრების დროშა, აქტიურად იბრძვიან, რათა ღირსეულად შეეგებონ დიად თარიღს — ვ. ი. ლენინის დაბადების მეასე წლისთავს, ვადამდე — 1970 წლის 7 ნოემბრისათვის შეასრულონ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ტემპების დაჩქარებით კვლავაც ვიბრძოლეთ ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებისათვის, მეცნიერებისა და კულტურის აყვავებისათვის.

ყოველი ახალი წელი გვიახლოებს სანუკვარ მიზანს — კომუნიზმს. ჩვენ განუხრელად ვივლით ოქტომბრის ძლევამოსილი კურსით. ჩვენს ხელთ არის საიმედო კომპასი — მარქსიზმ-ლენინიზმი. ჩვენ გვყავს ნაცადი მესაჭე — ლენინის პარტია.

ჩვენს სახლებში შემოდის 1968 წელი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად გილოცავენ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ წელს და გისურვებენ წარმატებებს შრომაში, სწავლასა და შემოქმედებაში, მთელ თქვენს ცხოვრებაში.

ახალი წლის დამდეგს მეგობრულ საახალწლო მილოცვას ვუგზავნით და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ სოციალიზმის ქვეყნების ხალხებს, კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, მუშათა კლასს, მშრომელ გლეხობას, ახალგაზრდა ეროვნული სახელმწიფოების ხალხებს, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის უღლის წინააღმდეგ ყველა მებრძოლს.

ვუსურვებთ მამაც მოძმე ვიეტნამელ ხალხს გადამწყვეტი წარმატებანი მოეპოვებინოს ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის გმირულ ბრძოლაში.

დაე ახალი წელი იყოს რეაქციისა და ომის ძალებზე მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმის ძალების ახალ გამარჯვებათა წელი.

დაე 1968 წელი იყოს მშვიდობისათვის და კომუნიზმისათვის ჩვენი ხალხის ახალ შრომით გამარჯვებათა წელი!

ჩვენი პირველი საახალწლო სადღეგრძელო ეკუთვნის გმირ საბჭოთა ხალხს, მის სახელოვან ავანგარდს — ლენინურ პარტიას, სოციალისტური სამშობლოს აყვავებას, ჩვენს მშვენიერ მომავალს!

გილოცავთ ახალ წელს, გისურვებთ ახალ ბედნიერებას, ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი** | **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

მილოცვები კუბელ ხალხს

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, ა. ნ. კოსიგინმა ამხანაგებს ფიდელ კასტრო რუსსა და ოსვალდო დორტიკოს ტორადოს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა ხალხის სახელით გულითადად მიულოცეს კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, კუბის რესპუბლიკის რევოლუციურ მთავრობას, კუბელ ხალხს კუბის რევოლუციის გამარჯვების მეცხრე წლისთავი, აგრეთვე ახალი წელი.

დეპეშაში ნათქვამია, რომ საბჭოთა და კუბელი ხალხების ბრძოლა თავიანთ ქვეყნებში სოციალისტური და კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის სსრ კავშირისა და კუბის რესპუბლიკის, ორივე ქვეყნის პარტიებისა და მთავრობების ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის მტკიცე საფუძველია. საბჭოთა ხალხი კვლავაც ყოველნაირად იზრუნებს იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირისა და კუბის ურთიერთობა ვითარდებოდეს მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებზე, ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ, სოციალისტური თანამეგობრობისა და მთელი რევოლუციური ძალების ერთობის განსამტკიცებლად, რათა გადაჭრით წინააღუდგნენ აგრესიულ იმპერიალისტურ მოქმედებას მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში. რათა ჩაშალონ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის ბრიკები სოციალისტური კუბის მიმართ.

საბჭოთა ხელმძღვანელებმა მოძმე კუბელ ხალხს უსურვეს ახალი წარმატებანი ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში, რევოლუციურ მონაპოვართა დაცვაში. (საკ-დესი).

მრავალ ჭირნახულ ქართველ ხალხს ბევრი ახალი წელი გასთენებია წარსულში ხანძრების ალითა და გოდებით, როცა გრიგალივით შემოვარდნილი მტრის ურდოები ცხენის ფლოქვებით სრესდნენ აკვნებში ჩაკრულ ჩვილ ბავშვებს და ცეცხლმოდებული სახლები ანთებული ჩიჩილაკებივით ბრწყინავდნენ ღამის უკუნში.

დღეს საქართველოს ფეხბედნიერ მეკვლეს წამით თვალწინ რომ გადაურბენს იმ საშინელ დღეთა აჩრდილი, ერთხელ კიდევ მადლიერების გრძნობით გაახედებს იმ მოკლე, მაგრამ დიდი გზისკენ, რომელმაც ამდენი სიხარული და გამარჯვება მოუტანა ჩვენს ხალხს ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე და მომავლის რწმენით ფრთაშესხმული შეაღებს დოვლათით სავსე ბეღლებისა და მარნების, განათლებისა და კულტურის სხივით გაშუქებული სახლების კარებს.

ჩვენს ხალხს კიდევ ერთი ბედნიერი ახალი წელი გაუთენდა.

ამ წელმა მშვიდობიანი შრომის სიხარულით კიდევ უფრო მეტად უნდა აავსოს ქართველი კაცის გული, კიდევ უფრო მაღლა უნდა ასწიოს ხარაჩოების ტყე, აკვნები და სკოლები უნდა გაგვიმრავლოს და უფრო შორს უნდა გასტყორცნოს ჩვენი ხალხის შემოქმედების გამარჯვებებისა და დიდების სახელი.

ქართველ ხალხს მკლავმოუღლელმა შრომამ და ბუნებრივმა გულგაშლილობამ მეგობრები მთელ მსოფლიოში გაუმრავლა, მაგრამ იგი ახალი წლის პირველი სადღეგრძელოთი უპირველესად იმ ხალხებს მიმართავს, რომლებთანაც ერთად ბრძოლის სახელოვანი გზა გაიარა და ახლა ერთიან ძმურ ოჯახში აშენებს და ამკვიდრებს კაცობრიობის საოცნებო მომავალს.

ხალხთა მეგობრობა თავისთავად გულისხმობს არა მარტო ერთობლივ ძმურ შრომას, არამედ ბევრ დიდ და დაუვიწყარ დღესასწაულსაც.

გუშინ თუ მთელმა საბჭოთა ხალხმა რუსთაველის დღეები იზეიმა, ახალი წლის გაზაფხულზე გორკის ასი წლისთავის ზეიმი გველის, შემოდგომაზე „მერანის“ გენიალური ავტორის 150 წლისთავსა და ჩვენი მშობლიური უნივერსიტეტის 50 წლისთავს ვიდღესასწაულებთ.

ამ დიდ სახალხო ზეიმებზე არა მარტო ჩვენი ხალხების ძმობის ურღვევობას დაინახავს ერთხელ კიდევ მთელი მსოფლიო, არამედ იმასაც, თუ რა დიდი მწვერვალების მიღწევა შეუძლიათ ბორკილაყრილ თავისუფალ ხალხებს, რომელთა შემოქმედებასაც ჩვენმა დრომ ახალი მძლავრი ფრთები და გასაქანი მისცა.

დაე ახალ, 1968 წელს კიდევ უფრო მძლავრად გაშლილიყოს ჩვენი ხალხის სიხარულისა და ბედნიერების ფრთები.

დაილოცოს ახალი წელი!

შემოქმედების მძლავრი ფრთებით

გრიგოლ აბაშიძე,
საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი.

აკაკი გეწაძე

მე ვადღეგრძელებ

მე ამ ღეჭს ფრთაზე შევაბამ არწივს,
არ დაიღალოს მთა-ბარზე ფრენით,
თვითონ კი მთაზე შევდგები ყანწით,
რომ ვადღეგრძელო სამშობლო ჩვენი.
დღეს სუფრა ყველგან იცინის, ვიცი,
ღიმილით მზიან მომავალს ხატავს.
მე-ვადღეგრძელებ ახალწლის ხიცილს,
ახალწლის სიტკბოს, ახალწლის ნატვრას.
თოვლის ბაბუა ლოცავს პატარებს,
მზე თოვლქვეშ ლამაზ ყვავილებს ეძებს.
ბავშვები ყველგან მზეებს ხატავენ
და მზის ხატებად ხატავენ დედებს.
დღეს ყველა სიტყვა იღვრება თაფლად,
უქრობ იმედად ღვივის ბუხარი.
ფრთა გაუშლია ოცნების აფრას
და ფიქრებს მზისკენ მიამქუხარებს.
ამ ახალ წლიდან იმ ახალ წლამდე,
საუკუნიდან საუკუნემდე
მარად კეთილი მზის წყაროს ვსვამდეთ,
სულ ტკბილ სიმღერებს ვაგუგუნებლეთ.
ვლოცავ ქართველი კაცის მარჯვენას,
ქართველ დედათა დარწეულ აკვნებს,
ახალ-ახალი კერის გაჩენას,
რაიც ჩვენს მიწას სიცოცხლეს მატებს.
მე ყველა ხალხის სიკეთეს ვლოცავ,
რომ სიყვარულით ვიყოთ მდიდრები.
ბუნებამ ერთი სიცოცხლე მოგვცა:
ვიყოთ მდიდრები ძმობის ხიდებით.
მზემ სიკეთის გზით იაროს მარად,
მავანი მავანს ხვდებოდეს ტკბილად,
ყოველი ღამე დაღამდეს წყნარად,
მშვიდად გათენდეს ყოველი დილა.
მე ამ ღეჭს ფრთაზე შევაბამ არწივს,
არ დაიღალოს მთა-ბარზე ფრენით,
თვითონ კი მთაზე შევდგები ყანწით,
რომ ვადღეგრძელო სამშობლო ჩვენი!

უპატაკებენ მეცხოველეობი

საქართველოს სს რესპუბლიკის მეცხოველეობა ახალ წელს საამაყო მაჩვენებლებით ხვდებიან. სახელმწიფოს მიეყიდა 598.395 ცენტნერი ხორცი, რაც წლიური გეგმის 117,3 პროცენტს შეადგენს.

სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის საქმეში თავი ისახელეს **გარდაბნის, წითელწყაროს, სიღნაღის, ხაშურის, ბორჯომის, გორის, ყვარლის, ხობის, ჭარელის, ცხაკაიას, მცხეთის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, კასპის, საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, ახმეტის, ლაგოდეხის, ბოლნისის, წალკის, დუშეთის, თეთრი წყაროს, დმანისის, თიანეთის, ყაზბეგის, წყალტუბოს, სამტრედიის, წულუკიძის, ვანის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, თერჯოლის, ხარაგაულის, ორჯონიკიძის, ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის, აბაშის, გეგეჭკორის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მახარაძის, ლანჩხუთის, ჩობალაურის, მესტიის** რაიონებმა, **ჭიათურამ, ტყიბულმა, აფხაზეთისა** და **აჭარის** ასს **რესპუბლიკებმა** და **სამხრეთ ოსეთის** ავტონომიურმა ოლქმა.

გვილოცავენ კოსმონავტები

ახალი წელი მუდამ იმედია!

იური გაგარინი.

მე ყოველთვის ძალიან ვღელავ, როცა მთბოვენ საახალწლო მილოცვები გადავცე საბჭოთა ადამიანებს — ჩემს თვისტომებსა და თანამემამულეებს. ვისურვებ, რომ ყოველ სახლში კოცონი ანთებულიყოს ნაძვისხის ქვეშ ერთად შეიკრიბონ ღიმილი და კეთილი სიტყვა, შეძლებულობა და თანხმობა, სიხარული და ბედნიერება.

ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა.

მრავალ ახალ წელს, მეგობრებო!

საერთაშორისო ხროვკეგა

საერთო სიამაყე

პაბლო ნერუდა

ჩვენ, პოეტები, მიჩვეული როდი ვართ შედეგების შეჯამებას. და მაინც, ახლადდელ, ჩემი აზრით, განსაკუთრებულ წელს რომ მივაცილებთ, მინდა ჩამოვაყალიბო რამდენიმე ჭეშმარიტება, რომლებიც გამომდინარეობს დიდი ოქტომბრის 50-ე წლისთავთან დაკავშირებული მოვლენებიდან.

საქმე ეხება, ბუნებრივია, საბჭოთა კავშირს, იმას, თუ სწორედ იმ დღეებმა და კვირეებმა, რომლებმაც ორმოცდაათი წლის წინათ იხილეს ადამიანთა ახალი საზოგადოების დაბადება, როგორ დაიკავეს კვლავ თავიანთი ადგილი დროთა მსვლელობაში.

მე ლათინურ ამერიკაზე ვილაპარაკებ. იმ ზეიმზე, რაც გაიმართა ევროპაში, აზიაში, აფრიკაში, ოკეანიის დიდ და პატარა კუნძულებზე, სხვები დაწერენ თავიანთ წიგნებში. მე კი მოგითხრობთ იმაზე, რაც ენახე, იმაზე, რაც გარს მარტყია აქ, ლათინური ამერიკის ვრცელ და მთაგორიან კონტინენტზე.

ჯერ ერთი ამბავი ისაა, რომ ყველაზე ბოროტი მტრებიც კი იძულებული იყვნენ დაეწერათ თავიანთ წიგნებში, ჟურნალებსა და გაზეთებში ნაწილი სიმართლისა, თუმცა მთელი სიმართლე მათ კვლავ ამინდეს. ეს სიმართლე ახალი, მძლავრი და დინამიკური განვითარებაში მყოფი საზოგადოების შექმნა, მისი სასახელო ისტორია.

მაგრამ გაცილებით უფრო ამაღელვა სხვაგვარმა ფაქტებმა. კუსკოდან გამომიგზავნეს პატარა ჟურნალი, რომელსაც ბერუს ამ ქალაქის კომუნისტები უშვებენ. ჟურნალი არარეგულარულად გამოდიოდა, ჩვეულებრივად რაიმე პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით, და მდიდრულად რიდი გამოიყურებოდა. მაგრამ აი იგი მორთული გამოვიდა, მკაფიო ფერადი ფურცლებით, კრიალა ქაღალდზე. მის ფურცლებზე ნახავდით საუცხო ილუსტრაციებს, უაღრესად საინტერესო დოკუმენტებსა და ცნობებს, გულთბილად და სიყვარულით დაწერილ მისალმებებსა და ლექსებს. ნომერი მთლიანად მიძღვნილი იყო ოქტომბრის წლისთავისადმი.

სადღესასწაულო ატმოსფერო იგრძნობოდა ყველგან. ახალი ამბები მრავალი ადგილიდან მომდიოდა. გამოქვეყნდა განსაკვირველი დოკუმენტები. წერილები და მეშუბტეები, გლეხები და ტყვიისმჭრელები, სპილენძის სამადნეებისა და შაქრის პლანტაციების მუშები იგონებდნენ იმ ჟამს, როცა კაკობრიობის იმედმა, ბოლოს, თავისი პირველი ნაყოფი გამოიღო. ჩილეში ხელახლა გამოიცა ლათინური ამერიკის პროლეტარიატის მასწავლებლის ლუის ემილიო რეკაბარენას წიგნი, რომელიც მან დაწერა, როცა საბჭოთა რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნდა.

შესაძლოა, ყველაზე გრანდიოზული ზეიმი გაიმართა ჩილეში. მე ჩემი ქვეყნისათვის უდიდესი სიამაყე ვიგრძენი. 100 ათასამდე კაცმა აავსო უზარმაზარი მოედანი...

ვერა, ვერ გაჭრა მრავალი წლის მანძილზე გავრცელებულმა მავნე შხამებმა, რომელებიც ფაშისტურ ინდოთა მოეწყალთა ერმა გრძნობენ... და ოქტომბრის რევოლუციის წლისთავის დღეებში აქ, ჩილეს დედაქალაქის ერთ-ერთ მოედანზე, და ყველგან ლათინურ ამერიკაში, მის ქარხნებში, საამქროებში, სკოლებში, ქალაქებისა და სოფლების ქუჩებზე და საპყრობილეებშიც კი ეს გრძნობები განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა.

ყოველივე ეს საკუთარი თვალით რომ ვნახე, დაფრწმუნდი, რომ ეს გრძნობები ყველა ხალხთა შემოქმედებითი ერთიანობის საფუძველია, მათი განთავისუფლების შესახებ მარად ცოცხალი მოძღვრების საფუძველია. ასეთია ის აზრები, რომლებიც ჩამინერგა 1967 წელმა.

ჩილე, ისლა ნეგრა.

კუბის ეროვნული დღესასწაული

ჰავანა. 31 დეკემბერი. (საკდესი). კუბელი ხალხი აღნიშნავს კუბის რევოლუციის გამარჯვების დღეს. 1959 წლის 1 იანვრიდან ფიდელ კასტროს მეთაურობით მეამბოხეთა არმიის წარმატებით მოქმედების შედეგად, არმიისა, რომელსაც მხარს უჭერდნენ კუბის მუშებისა და გლეხების ფართო მასები, პირისაგან მიწისა აღიგავა ბატისტას დიქტატურა.

ახლა კუბელი მშრომელები აჯამებენ რევოლუციის მეცხრე წლის შედეგებს. წელს კუბაში გრძელდებოდა ბრძოლა ეროვნული ეკონომიკის ძირითადი დარგის — სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. წარმატებით განხორციელდა მეშვიდე სახალხო საფრა, რომელმაც კუბას მისცა 6.130 ათასი ტონა შაქარი.

ფართო გაქანებით მიმდინარეობდა წელს იმ მიწის ფართობების გადიდების სამუშაოები, რომლებიც გამოსადეგია სოფლის მეურნეობისათვის. შეიქმნა დამკვრელური მექანიზებული ბრიგადა, რომელიც ერნესტო ჩე გევარას სახელს ატარებს. უკვე ნოემბერსა და დეკემბერში ბრიგადამ გაწმინდა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ორიენტეს პროვინციაში მოამზადა დაახლოებით 55 ათასი ჰექტარი მიწა და განაგრძობს მუშაობას კამაგუეის პროვინციაში.

იმისათვის, რომ დეეკმაუოფილებინათ სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებანი მანქანებსა და მოწყობილობაზე კუბაში მუშაობდნენ მთავარი სამრეწველო საწარმოებიც. მაგალითად, მარტო ჰავანის ლითონის ქარხანა „კუბანა დე ასერომ“ 1967 წელს დაამზადა 4.400 სპეციალური სათრეველა მიწების დასამუშავებლად, მოწყობილობის 100 კომპლექტი შაქრის ჭარხლის მექანიზებული დამამზადებელი პუნქტებისათვის და ბევრი სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა. აგრეთვე შაქრის ქარხნების მოწყობილობის სარემონტო სათადარიგო ნაწილი.

შრომაში კარგი მიღწევებით ხვდებიან რევოლუციის გამარჯვების ცხრა წლისთავს კუბელი მებადურები.

კუბამ 1967 წელს დიდი წარმატებანი მოიპოვა ჯანმრთელობის დაცვის დარგში. მთელ კუბაში შეიქმნა სახელმწიფო პოლიკლინიკების ფართო ქსელი, მწყობრში ჩადგა რამდენიმე ახალი საავადმყოფო.

სამუშაოდან ითხოვენ არასასურველ პირებს

ლონდონი. 31 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა ს. პატაკოსმა გამოაცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს 23 სამოქალაქო მოსამსახურე დაითხოვეს სახელმწიფო ამარატის არასასურველი ელემენტებისაგან წმენდასთან დაკავშირებით.

პატაკოსმა, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრიცაა, განაცხადა, რომ ხუთი მოსამსახურე დაითხოვეს მთავრობისადმი არალოიალური დამოკიდებულების გამო, 18 კი დისციპლინის დარღვევისათვის.

პატაკოსმა აგრეთვე თქვა, რომ სამინისტროს სამი სამოქალაქო მოსამსახურე დაკავეთეს იმავე მიზეზების გამო.

მდგომარეობა კვიპროსში

ნიკოზია, 31 დეკემბერი. (საკდესი). კვიპროსის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტის ფ. ქიჩუკის რეზიდენციაში გაიმართა კუნძულის თურქთა თემის თვალსაჩინო წარმომადგენლების თათბირი, რომელზეც განხილეს და მოიწონეს „თემის საქმეების უფრო ეფექტიანი მართვის“ ღონისძიებანი.

მიღებული გადაწყვეტილების თანახმად ამიერიდან და მანამდე, სანამ არ აღდგება რესპუბლიკის 1960 წლის 16 აგვისტოს კონსტიტუცია, ყველა კვიპროსელი თურქი უნდა დაემორჩილოს კუნძულის „თურქთა დროებით ადმინისტრაციას“. კვიპროსელი თურქებით დასახლებული რაიონებისათვის მიცემულ საკანონმდებლო ხელისუფლებას განახორციელებს თურქთა დროებითი ადმინისტრაციის სპეციალური პალატა.

აღმასრულებელ ხელისუფლებას შეასრულებს აღმასრულებელი საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან სამი მინისტრი და საბჭოს ექვსი წევრი. საბჭოს უმეთაურებს რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი. საბჭოს იურისდიქციაში შედის ყველა საკითხი, რომლებიც ეხება თემს, მათ შორის თავდაცვის, შინაგან საქმეთა, ფინანსთა, სოფლის მეურნეობისა და სხვა საკითხები.

ნიკოზია. 31 დეკემბერი. (საკდესი). კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტმა არქიეპისკოპოსმა მაკარიოსმა გააკეთა განცხადება, რომელშიც კვიპროსის თურქთა ხელმძღვანელობის მოქმედება „კუნძულის თურქთა დროებითი ადმინისტრაციის“ შექმნისათვის, დაახასიათა როგორც უკანონო.

თუმცა ეს გადაწყვეტილება სერიოზული არ არის, ნათქვამია პრეზიდენტის განცხადებაში, რადგან პრაქტიკულად მისი შესრულება შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, ეს ისეთი ნაბიჯია, რომელიც ეწინააღმდეგება უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს და მიზნად ისახავს შეარყიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის კეთილი სამსახური, რომელიც ყველამ მოიწონა.

ᲘᲝᲛᲔᲜᲨᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲝᲑᲐᲐ

ᲯᲝᲓᲔᲘᲓᲐ. 31 დეკემბერი. (საკდესი). სანის რადიომ გუშინ გადასცა იემენის მთავრობის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი მზად არის დაეთანხმოს სამთა კომისიის გადაწყვეტილებას იემენის პრობლემის თაობაზე.

აქ მიღებული ცნობებით, იემენის დედაქალაქ სანის რაიონში ვითარება კვლავ დაძაბულია. ბრძოლებია მთის კალთებზე ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრზე. იემენის დასავლეთ ნაწილში ტიხამის რაიონში რესპუბლიკურმა ჯარებმა ჩაფუშეს ტომის შეიხის ზარანიკ მუნასარის ამბოხების ცდა.

ᲙᲐᲘᲠᲝ, 31 დეკემბერი. (საკდესი). კაიროს გაზეთი „ალ-აჰრამი“ დღეს წერს, რომ იემენში მთავრობის ჯარები უწევენ კონტროლს მდგომარეობას. მაგრამ გაზეთი იმოწმებს სანიდან მიღებულ ცნობებს და წერს, რომ მონარქისტები და დაქირავებულნი ემზადებიან ახალი სამხედრო ოპერაციებისათვის იემენის დედაქალაქის ხელში ჩასაგდებად.

გუშინ, აღნიშნავს ამასთან დაკავშირებით „ალ-აჰრამი“, იემენის პრემიერ-მინისტრმა და იემენის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა ჰასან ალ-ამრომ ქვეყნის მდგომარეობის განსახილველად მოიწვია მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ აგრეთვე არმიის უფროსი ოფიცრები, ტომების შეიხები და მოხალისეთა ნაწილების ქვეგანაყოფთა მეთაურები.

ᲘᲝᲛᲔᲜᲨᲘ

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲝᲑᲐᲐ

საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ვაჭრობა 1968 წელს

მოსკოვში დამთავრდა საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მოლაპარაკება. ამ ქვეყნებმა ხელი მოაწერეს ოქმს საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ 1968 წლისათვის. 1967 წელთან შედარებით საბჭოთა კავშირსა და რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის საქონელბრუნვა გადიდდება და მიაღწევს დაახლოებით 770 მილიონ მანეთს.

საბჭოთა კავშირი რუმინეთს მიაწვდის ამწე-სატრანსპორტო და საგზაო-სამშენებლო მოწყობილობას, ჩარხებს, ავტომანქანებს, კოქსს, რკინის მადანს, შავი ლითონების ნაგლინს, ბამბას, ტელევიზორებს, საათებსა და სხვა საქონელს.

სსრ კავშირი რუმინეთისაგან მიიღებს გემებს, ლითონსაჭრელ ჩარხებს, ელექტროტექნიკურ მოწყობილობას, ნავთობპროდუქტებს, მილებს, ქიმიურ საქონელს, აგრეთვე ავიჯს, შეკერილ ტანსაცმელსა და ტრიკოტაჟის ნაწარმს. (საკდესი).

ᲐᲠᲐᲡᲐᲡᲘᲦᲐᲠᲣᲚᲝ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ბონი. 31 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. სეროვი იუწყება: „შავი წელი“ იყო 1967 წელი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკისათვის. ამას აღიარებენ დასავლეთ გერმანიის ეკონომიური მომხსენებლები, როცა მიმავალი წლის შედეგებს აჯამებენ. პირველად მრავალი წლის პერიოდში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამრეწველო წარმოებას წელს არ გადაუჭარბებია წინა წლის დონისათვის. უარყოფითი ბალანსით დაამთავრა მიმდინარე წელი მრეწველობის ბევრმა დარგმა. განსაკუთრებით ძლიერი კრიზისული მოვლენები იყო მეტალურგიაში, მანქანათმშენებლობაში, გემთმშენებლობაში, საფეიქრო მრეწველობაში, რომ აღარაფერი ვთქვათ ქვანახშირის მოპოვების მრეწველობაზე, რომელიც გასაღების ქრონიკულ კრიზისს განიცდის. როგორც სტატისტიკური მონაცემები მოწმობენ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მრეწველობის საწარმოო სიმძლავრენი წელს საშუალოდ გამოყენებული იყო მხოლოდ 80 პროცენტით.

მიმავალი წელი იყო საგალოლო რეკორდების წელი დასავლეთ გერმანიის შრომის ბაზარზე. 1966 წლის იგნისიდან 1967 წლის ივნისამდე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკაში დასაქმებულ პირთა საერთო რიცხვი შემცირდა თითქმის 1 მილიონი კაცით, მიაღწია ყველაზე დაბალ დონეს ამ ბოლო ათ წელიწადში. ამ დროის განმავლობაში დაითხოვეს და საშობლოს გაემგზავრა 300 ათასზე მეტი უცხოელი მუშა.

მაგრამ სასიხარულო პერსპექტივები როდი ისახება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკის წინაშე მომავალ 1968 წელსაც. გაზეთები აპრელებულია პესიმისტური პროგნოზებით. „ალბათ 1968 წელს პირველ ნახევარში არ იქნება წარმოების არავითარი რეალური მატება“, — აცხადებს „გერმანიის მრეწველობის კავშირი“. გერმანიის ეკონომიური კვლევის ინსტიტუტი აღნიშნავს, რომ ასეთი „სკეპტიციზმი სავსებით გამართლებულია“, რადგან ჯერ კიდევ არ არის იმის დამაჯერებელი ნიშნები, რომ ეკონომიკისათვის გამოყენ ფენ ახალ კაპიტალურ დაბანდებას.

ამასთან მონოპოლიები და „დიდი კოალიციის“ მთავრობა მშრომელებს აკისრებენ ეკონომიური დაკვეთებისა და გამალებული შეიარაღების მთელ სიმძიმეს. გაზრდილი გადასახადები, შეკვეცილი ხელფასი — ასეთია ბონის „საახალწლო საჩუქრები“ დასავლეთ გერმანიის მეხოვრებლებისათვის.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲛᲔᲢᲐ

ტოკიო, 31 დეკემბერი. (საკდესი). კიდევ ერთი ახალი კომეტა აღმოაჩინეს იაპონელმა მოყვარულმა-ასტრონომებმა ცუტომუ სეკიმ და კაორუ იკეიამ. ერთ-ერთი მათგანი ცხოვრობს ხონსიუს კუნძულზე, მეორე — სიკოკუს კუნძულზე. თავისი აღმოჩენის შესახებ, რომელიც თითქმის ერთდროულად მოახდინეს, მათ აცნობეს ტოკიოს ობსერვატორიას, რომელმაც დაადასტურა ახალი კომეტის გამოჩენა და გადაუღო ფოტოსურათები. თუ რა მდებარეობა აქვს კომეტას, ობსერვატორია არ იუწყება, მაგრამ მონაცემები მის შესახებ ჯერ გაიგზავნა ბოსტონის ასტრონომიულ ობსერვატორიაში. ეს უკვე მეხუთე კომეტაა, რომელიც მოყვარულმა ასტრონომებმა აღმოაჩინეს. 1965 წლის სექტემბერში მათ პირველებმა აღმოაჩინეს კომეტა, რომელსაც მათი სახელები ეწოდა და მიიპყრო მთელი მსოფლიოს ასტრონომთა და მეცნიერთა ყურადღება.

ᲣᲛᲣᲨᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐᲨᲘ

ვენა. 31 დეკემბერი. (საკდესი). 1967 წლის დეკემბერში ავსტრიაში აღრიცხული იყო 88 ათასზე მეტი უმუშევარი. ეს 13 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამის პერიოდს, იუწყება გაზეთი „არბაიტერ ციტუნგი“.

ავსტრიის პროფკავშირთა გაერთიანება ეარაუდობს, რომ უმუშევრობა გაიზრდება 1968 წელსაც. ახალი წლის პირველ თვეებში უმუშევართა რიცხვი 140-150 ათასი იქნება.

მეგობრობის მონუმენტი

დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის დღესასწაულის დღეებში კაიროში გაიმართა საბჭოთა ხალხისა და არაბი ხალხის მეგობრობის მონუმენტის პროექტზე გამოცხადებული საერთაშორისო კონკურსის უიურის დასკვნითი სხდომა. კონკურსის უიურიმ, რომელიც შედგება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებისაგან, საუკეთესოდ ცნო საბჭოთა არქიტექტორების ი. ვ. ომელჩენკოსა და ჯ. ჯ. პავლოვის მიერ შესრულებული პროექტი. ბარელიეფები შესრულებულია მოქანდაკე ერნსტ ნეიზვესტნის მიერ. მონუმენტის აგება გათვალისწინებულია 1970 წელს. მისი გახსნა შეუფარდდება კაშხალის მშენებლობის დამთავრებას.

სურათზე: საბჭოთა ხალხისა და არაბი ხალხის მეგობრობის მონუმენტის ფასადის პროექტი. ფოტო ნ. გრანოვსკისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲘ

იაუნდე, 31 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ბორის პეტუხოვი იუწყება:

პირველ იანვარს, როცა დედამიწაზე ყველგან ხალხი აღნიშნავს ახალი 1968 წლის დადგმას, კამერუნის მცხოვრებთათვის ორმაგი დღესასწაული იქნება. ამ დღეს ისინი აღნიშნავენ თავისი დამოუკიდებლობის 8 წლისთავს.

იაუნდეს ქუჩები და მოედნები უკვე სახეიმოდ მოირთო. ხვალ დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე — დამოუკიდებლობის მოედანზე გაიმართება საზეიმო პარადი და დემონსტრაცია.

რვა წლის წინათ აფრიკის გეოგრაფიული რუკიდან სამუდამოდ გაქრა სახელწოდება „საფრანგეთის კამერუნი“. მის ადგილს გამოჩნდა კამერუნის დამოუკიდებელი რესპუბლიკა. ერთი წლის შემდეგ, 1961 წლის თებერვალში, საყოველთაო რეფერენდუმის შედეგად მას შეუერთდა ყოფილი ინგლისის კამერუნის სამხრეთი ნაწილი, და იმავე წლის ოქტომბერში შეიქმნა კამერუნის ფედერაციული რესპუბლიკა.

ამ რვა წელიწადში კამერუნელმა ხალხმა შესამჩნევი წარმატებანი მოიპოვა ეკონომიურ და სოციალურ განვითარებაში. რესპუბლიკის საწარმოებმა ახლა ითვისეს და დაიწყეს ბევრი ისეთი საქონლის წარმოება, რომელსაც წინათ კამერუნი არ აწარმოებდა. მათ შორისაა ქსოვილები, მზა ტანსაცმელი, ტრანზისტორები, ველოსიპედები, ხე-ტყის მრეწველობის მოწყობილობა.

გაითვალისწინა რა წარსულის გამოცდილება და მსოფლიო ბაზარზე ტროპიკული საქონლის ფასების მერყეობა, კამერუნის მთავრობამ, ტრადიციული კულტურების ყავის, კაკაოს, ბამბის, ბანანისა და მარცვლის სხვა ძვირფასი ჯიშების წარმოების გადიდების ღონისძიებებთან ერთად განახორციელა ღონისძიებანი, რათა თავის ქვეყანაში დაენერგა ახალი კულტურები.

ამჟამად, როგორც კამერუნის პრეზიდენტის ამადუ ახიჯოს განცხადება მოწმობს, კამერუნის ეკონომიური და სოციალური განვითარება ხორციელდება მეორე ხუთწლიანი გეგმის საფუძველზე, რომელიც 1966 წლის იანვარში მიღებული და ითვალისწინებს, რომ 1971 წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვნად აამაღლოს ეროვნული ეკონომიკა ყველა დარგში.

დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო აპარატში, არმიასა და განათლების სისტემაში კადრების აფრიკანიზაციის ღონისძიებებს, რომლებსაც მთავრობა ახორციელებს. ამ ამოცანების გადაწყვეტას ხელს უწყობენ წარმატებანი, რომლებიც მოპოვებულია სხვადასხვა სასწავლებლის ქსელის გაფართოების საქმეში, აგრეთვე ხელს უწყობს ისიც, რომ ფედერალურ უნივერსიტეტთან შეიქმნა ადმინისტრაციული კადრების უმაღლესი სკოლა. მაღალ უნივერსიტეტთან გაიხსნება სამედიცინო ფაკულტეტი. ეს კამერუნის ხალხს საშუალებას მისცემს გააუმჯობესოს სახალხო ჯანმრთელობის დაცვის სისტემა.

კამერუნის ფედერაციული რესპუბლიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრია. ამადუ ახიჯოს მთავრობას დიპლომატიური ურთიერთობა აქვს მსოფლიოს ბევრ ქვეყანასთან, მათ შორის საბჭოთა კავშირთან.

ᲓᲐᲛᲐᲒᲠᲘᲜᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ

გადასახადები, ფასების ზრდა, უზომო სამხედრო ხარჯები, ხელფასის გაყინვა მტკივნეულად დარტყმებს აყენებს დიდი ბრიტანეთის ხალხის მასებს. „დეფალიტიკი დასაწყისია ახალი შეტევისა მუშებსა და მოსამსახურეებზე, მოხუც პენსიონერებსა და ღარიბებზე“, — განაცხადა დიდი ბრიტანეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჯ. გოლანმა. მთავრობა დაეთანხმა პირობებზე უცხოელ ბანკირებს, რომლებმაც „ჯარი“ თქვეს ერთადერთი სწორი კურსის გატარებაზე — საჰხედრო ხარჯების შემცირებაზე.

(გაზეთებიდან)



ნახატი გაზეთ „მორნინგ სტარიდან“ (დიდი ბრიტანეთი).
საკდესის ფოტოკრონიკა.

ᲡᲘᲣᲟᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ

Ვ. ᲞᲝᲓᲚᲘ

იმ დღეს თითქოს წინასწარ შეთანხმდნენო, ყველა თანამშრომელი ერთი საათით ადრე გამოცხადდა, მხოლოდ დამლაგებელი ოლეატრეი აკლდათ.

— არა უშავს რა, როგორმე იოლად გავალთ უიმისოდ, — თქვა გამგემ, რომელიც, ეტყობოდა, შესანიშნავ გუნებაზე იყო, — თქვენ ალბათ იცით, რომ დღეს საახალწლო პრემიების მიკუთვნების საკითხს ვწყვეტთ. გთხოვთ, ამხანაგო ადატინ!

— გმადლობთ ნდობისა და ყურადღებისათვის, — თავი მდაბლად დაუკრა გამგეს პროფკომის თავმჯდომარე ადატინმა, — ჩვენს სახელოსნოს სალაროში ამჟამად 160 მანეთი და 13 კაპიკია. და მე ვფიქრობ, რომ...

— ოცდაათი მანეთი გამგეს!

— ორმოცი!

— ორმოცდაათი! — გაისმა ხმები.

— როგორ შეიძლება, ამხანაგებო, — დაიმორცხვა და თვალები დახარა გამგემ, — არავითარი განსაკუთრებული დამსახურება მე არ მიმიძღვის. იქნებ ჯერ თვით პროფკავშირის თავმჯდომარეზე ვიფიქროთ?

— არა და არა...— დიდსულოვნება გამოიჩინა ადატინმაც, — დავიწყოთ მასებიდან...

— სწორია, — მხარი დაუჭირა ქვეოსტატმა დიგასმა, — წინადადება შემომაქვს საახალწლო პრემია მივაკუთვნოთ ქვეოსტატის თანაშემწეს ქალბატონ პოგას. გასულ წელს იგი სამუშაოზე ათჯერ გამოცხადდა დროულად.

— რას ამბობთ? — გაუკვირდა სახელოსნოს გამგეს, — მაშასადამე, ათი მანეთი!

— შემდეგ! კიდევ როგორი წინადადებაა? — იკითხა ადატინმა.

— წინადადება შემომაქვს დავჯილდოოთ ქვეოსტატი დიგასი! — წკრიალა ხმით აუწყა კრებას ქვეოსტატის თანაშემწემ პოგამ, — ის მუდამ წვერგაპარსული მოდის სამუშაოზე.

— ოცი მანეთი შრომის მაღალი კულტურისათვის!

— რა სასიამოვნოა! — გაიხარა ქვეოსტატმა დიგასმა, მაგრამ მორცხვობამ ამასაც მოახერეინა ქედი და თავჩაღუნულმა თქვა, — ეფიქრობ, არც ჩვენი ბუხალტერები უნდა დავიჯილდოთ.

— შეეშალა! — ეკითხა ადატინმა.

— ეკითხეთ ბუხალტერ ბრუკერს, — ამბობენ ერთხმად ყველანი.

— ეს ბოლო ამბავი ალბათ ბრუკერ-ს ეცოდინებოდა, — ეკითხა ადატინმა ბუხალტერ ბრუკერს, — ეს ასეთი ნაბიჯია, რომელიც ეწინააღმდეგება უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს და მიზნად ისახავს შეარყიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის კეთილი სამსახური, რომელიც ყველამ მოიწონა.

— ოცდახუთი მანეთი დამრიცხველ-ბუხჰალტერ მელენეს და ოცდახუთიც გადამთვლელ ბუხჰალტერ ბრუკერს, არა? — ეკითხა გამგემ.

— თანახმა ვართ, — ერთსულოვნად განაცხადეს ადატინმა, დიგასმა და პოგამ.

— პროფკავშირის თავმჯდომარეს? თქვა ბრუკერმ.

— ოცდაათი მანეთი, მასებთან მუშაობისა და ადმინისტრაციასთან თანამეგობრობისათვის! — საერთო ტაშის გრიალში მხარი დაუჭირა კოლეგას მელენემაც.

აქ ადატინმა გამგეს თვალი შეავლო და დაიჩურჩულა:

— დანარჩენი თქვენ, ამხანაგო უფროსო!

— არავითარ შემთხვევაში, — იუარა გამგემ, — ორმოცდაათი მანეთი საკმარისია, მეტს არც ერთ-კაპიკსაც არ ავიღებ.

— 13 კაპიკს რაღა იუყოთ? — მისი სალაროში დატოვება უხერხულია.

— რატომ უნდა დავტოვოთ? — განა შეიძლება დავივიწყოთ ჩვენი კოლექტივის უძველესი თანამშრომელი? — საყვედურის კილოთი წარმოთქვა გამგემ.

— 13 კაპიკი მოხმარდეს დამლაგებელ ოლეატრეტს საახალწლო საჩუქარს. მთავარია სიყვარული და ყურადღება და არა ის, თუ რა ღირებულების საჩუქარს ვუძღვნით.

თარგმანი გერმანულიდან
შ. ამირანაშვილისა.

ᲤᲐᲠᲗᲝᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘ

ᲒᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲐᲚ. ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ — ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲑᲐᲚᲔᲢᲛᲔᲘᲡᲢᲔᲠᲘ

წინასაახალწლო დღეებში სასიხარულო ამბავი მოვიდა მოსკოვიდან — ცნობილი საბჭოთა ბალეტმეისტერი, რსფსრ დამსახურებული არტისტი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ დაინიშნა ვარშავის დიდი თეატრის საბალეტო დასის მხატვრულ ხელმძღვანელად და მთავარ ბალეტმეისტერად.

„ᲙᲝᲛᲔᲠᲡᲐᲜᲢᲘᲡ“ მკითხველებს კარგად ახსოვთ ის წარმატება, რომელიც ალ. ჭიჭინაძემ მოუპოვა საბჭოთა ხელოვნებას საერთაშორისო ასპარეზზე. უკანასკნელ ხანებში, როცა იგი მთლიანად გადავიდა საბალეტმეისტერო მუშაობაზე, ალ. ჭიჭინაძეს თითქმის ყოველწლიურად იწვევენ საზღვარგარეთის საოპერო თეატრები. ამ მხრივ ბრწყინვალე დებიუტი იყო 1961 წელს პოლანდიის სამეფო საბალეტო დასში, ეროვნულ ფესტივალთან დაკავშირებით, ჰაიოვსკის, „ფრანჩესკა და რიმინის“ განხორციელება საკუთარი დადგმით (ეს სპექტაკლი ფესტივალის საუკეთესო ნაწარმოებად აღიარეს). მომდევნო 1962 წელს ალ. ჭიჭინაძემ სოფიის საოპერო თეატრში წარმატებით აღადგინა „გედის ტბა“, 1963 წელს ულან ბატორში დადგა „ფრანჩესკა“ და „შეჰერაზადა“, 1964 წელს კი ვარშავაში ახალი რედაქცია გაუკეთა „დონ კიხოტს“...

ქართული პერიოდული პრესა ყოველთვის ოპერატიულად ეხმაურებოდა ალ. ჭიჭინაძის ახალ-ახალ წარმატებებს. არც ამჯერად გვსურდა გვეღალატა ტრადიციისათვის და დავუკავშირდით მოსკოვის სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალურ თეატრს, სადაც 20 წელზე მეტია მოღვაწეობს ჩვენი სახელოვანი თანამემამულე.

მაგრამ ალ. ჭიჭინაძე მშობლიურ თეატრში არ აღმოჩნდა, იგი უკვე ვარშავაში გაფრენილიყო. ამიტომაც ახლა ვარშავის დიდ თეატრში დავრეკეთ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — პატივცემულო ალექსი, მოგილოცავთ ახალ წელს და ახალ „თანამდებობასაც“. მიიღეთ ჩვენი საუკეთესო სურვილები.

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ — გმადლობთ. გმადლობთ, თქვენც გილოცავთ ახალ წელს და გისურვებთ ახალ წარმატებებს.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — რამდენიმე ოფიციალური კითხვა უწინარეს ყოვლისა, გვაინტერესებს თვით ამბავი თქვენი მიწვევისა თუ დანიშვნისა ვარშავის დიდ თეატრში, მისი პირობები, ვადა და ა. შ.

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ — ეს მოხდა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის მინისტრთა შეთანხმების საფუძველზე. ასე რომ არც ვადაა განსაზღვრული და არც დასადგმელი სპექტაკლების რაოდენობა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — ორიოდე სიტყვა დასის შესახებ. იცნობთ თუ არა მის შესაძლებლობებსა და თავისებურებებს და ამდენად შეძლებთ თუ არა საერთო ენის გამონახვას?

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ — ვარშავის დიდი თეატრის საბალეტო დასში, რომლის მხატვრული ხელმძღვანელობა და მთავარი ბალეტმეისტრობა მე დამევალა, სულ 160, ასე ვთქვათ, შტატიანი მსახიობია, რომელთა უმრავლესობას კარგად გავეცანი ორიოდე წლის წინათ, როცა აქ „დონ-კიხოტი“ აღვადგინე ახალი რედაქციით. მათ ყოველთვის თავის დროზე გვაძლევენ ხ

ევოლიუცია

დემნა შენგელაია

ახალი გამარჯვებებით, ახალი წარმატებებით ფეხშემოდგმულ ახალ წელიწადს ვულოცავ ჩემ საყვარელ ხალხს, ხალხს — მშრომელს, გმირსა და კეთილშობილს.

კეთილი იყოს ამ დიდებული წლის დაფუძნება ჩემს სამშობლოში! ახალი მიღწევებით, ახალი შემოქმედებითი გატაცებებით და ბედნიერებით იყოს დაგვირგვინებული ეს წელიწადი არა მხოლოდ ქართველი ხალხისთვის, — მისი მოძმე, კეთილის მსურველი ხალხებისთვისაც. ქორწილებით, შვილიერებით და ბედნიერებით იყოს გაბრწყინებული ეს ჩვენი ახალი წელიწადი ქართველი ხალხისათვის, რომელიც თავისი დიდებული შვილის ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ქართული მეცნიერების ტაძრის — თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეო დღეებისათვის ემზადება. არა, ცუდად არ ჩაუვლია ჩვენი ტატოს განწირულ სულისკვეთებას. მისი მერანი, მისი გასაკვირველი აღმაფრენა თუ ოდესღაც გზას უვალს თელავდა, ახლა გაქრა მისი ავბედითი ყვავ-ყორანი, ეს გზა დიდებული გამარჯვებებით არის განათებული.

ქართველი ხალხი ღრმა მადლიერების გრძნობით ეთხოვება წარსულ საიუბილეო დიდებულ წელიწადს და ყურთამდე უღებს გულის კარს ახალ წელიწადს.

გაუმარჯოს ჩვენი მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის მომავალ დღეებს, დღეებს გაბრწყინებულს გამარჯვებათა ახალი დიდებით, ახალი წინსვლით.

მრავალს დაესწარით!

ეეხ, ნეტავი ეს ჩემი კეთილი სურვილები ჩვენი ვიეტნამელი მეგობრებისა და ციხედ ქცეულ კუნძულებზე დამწყვდეული მებრძოლი ბერძნების ყურამდეც მიატანდეს! გილოცავთ თქვენც, ტანჯულო ხალხო, მომავალ გამარჯვებას იმ შავბნელ ძალებზე, რომლებიც სულს გიხუთავენ არა მხოლოდ თქვენ, არამედ მთელ მოწინავე კაცობრიობასაც.

გილოცავთ 1968 წლის პირველი დღის გათენებას!

შრომის ჯანსაღი რიტმი

საიუბილეო შრომაში მოპოვებული წარმატებებისათვის რესპუბლიკის 13 სამრეწველო საწარმო და ორგანიზაცია საკავშირო საიუბილეო სამახსოვრო დროშების მფლობელი გახდა. ათობით კოლექტივს მიეკუთვნა რესპუბლიკური საიუბილეო სამახსოვრო დროშა.

საიუბილეო წელს დამთავრდა ბევრი ახალი სამრეწველო ობიექტის მშენებლობა. ათვისებულ იქნა და სერიულად გამოვიდა მრავალი ახალი პროდუქცია.

ძველ 1967 წელს მწყობრში ჩადგა თბილისის სახელმწიფო თბოელექტროსადგურის მეოთხე ენერგობლოკი, კლდისა და მიწის დიდი სამუშაოები შეასრულეს ენგურჰესის მშენებლებმა, რენტაბელური გახდა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. გამოშვებულ იქნა ახალი მოდელის ჩარხები, ასეულ ათასობით მეტრი შალისა და აბრეშუმის ზეგეგმითი ქსოვილი მიიღო მომხმარებელმა და ა. შ.

საწარმოთა ნაწილი 1967 წელს გადავიდა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე. სამეურნეო ანგარიშზე გადასვლამ საწარმოებს საშუალება მისცათ უფრო რენტაბელად აიმუშავებინათ წარმოების მართვის ახალი ბერკეტები, გაეზარდათ საწარმოსა და მშრომელთა მატერიალური შემოსავალი.

წლის შედეგების მიხედვით სასახელო მარჯვენებლებს მიაღწიეს მსუბუქი მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის, კომუნალური მეურნეობის, კავშირგაბმულობის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებმა, ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარმა სამმართველომ, გაზიფიკაციის მთავარმა სამმართველომ, ტრესტმა „ინემშენმა“, გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ“, ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა, რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ, ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტმა „თბილგვირაბმშენმა“ და სხვ.

წარმატებით იშრომეს თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, გორის, წულუკიძის, ახალციხის და სხვა ქალაქების სამრეწველო საწარმოებმა, სატრანსპორტო და სამშენებლო ორგანიზაციებმა.

საიუბილეო წლის შრომამ მტკიცე საფუძველი შეუქმნა ახალ სამეურნეო წელს, რომელიც გრანდიოზულ ამოცანებს უყენებს ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობას.

ხუთწლედი — ვადამდე, ღირსეულად შევხვდეთ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს, — აი სამრეწველო საწარმოთა, ტრანსპორტისა და სამშენებლო ორგანიზაციების კოლექტივების, თვითეული მშრომელის დღევანდელი დევიზი.

გვილოცავს ყვავილების მესაიდუმლე მიხეილ მამულაშვილი



გეგმა, მოგება, ხარისხი

ფულუკიძის აბრეშუმის ძაფსაღებსაგრეხი ფაბრიკის კოლექტივმა 16 დეკემბრისათვის უპატაკა სამშობლოს ხუთწლედის მეორე წლის საწარმოო გეგმის შესრულება. პირველი ხარისხის პროდუქცია გამოშვებულია 92 პროცენტი, ნაცვლად დაგეგმილი 80 პროცენტისა, მიღებულია 1.800 კილოგრამზე მეტი ნედლეულის ეკონომია, დაზოგილია დიდძალი საწვავი და ელექტროენერგია. შრომის ნაყოფიერება 11 თვეში გაიზარდა 2 პროცენტით. ზეგეგმითმა მოგებამ 70 ათასი მანეთი შეადგინა.

გ. გეგეჭკორი.

სოფლის ხვავი და გაჭრობა

სიუხვითა და ბარაქით ხელდამშვენებული სოფლის ძეურნეობის მშრომელები მოვიდნენ ახალი წლის მიჯნაზე. საიუბილეო, 1967 წელი სასახელო შრომისა და გამარჯვების ესტაფეტას გადასცემს 1968 წელს. ორგზის ლენინის ორდენოსან საქართველოს მშრომელებს ამჟამად ხელთ უპყრიათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშა. ასევეა სამახსოვრო დროშები გადაეცათ **ზუგდიდის** რაიონის იხგირის ლენინის ორდენოსან ჩაის საბჭოთა მეურნეობას, **სოფნალის** რაიონის ხირსის მეევნახეობის საბჭოთა მეურნეობას, **გორის** რაიონის სოფელ ფლავის, **მახარაძის** რაიონის სოფელ შრომის „**საპატიო ნიშნის**“ ორდენოსან, **წითელწყაროს** რაიონის ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსან, **ოჩამჩირის** რაიონის სოფელ ბესლახუბის, **ქობულეთის** რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობებს.

საქართველოს მეჩაიეებს ახარებს ის, **რომ** 1967 წელს ჩაის საკრეფი მანქანა „**საქართველოს**“ შემქმნელ კონსტრუქტორებს ლენინური პრემია მიეკუთვნათ. სახელოვანი მეჩაიეები ზეიმობენ დიდ გამარჯვებას — სამშობლოს მისცეს 222 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 200 ათასი ტონისა. მათ მხარს უმშვენებენ ჩვენი მევენახეები, რომლებმაც სახელმწიფოს მიჰყიდეს 215.000 ტონა ყურძენი. ეს გეგმაზე ბევრად მეტია.

ხუთწლედის მესამე წელს წარმატებებს უპატაკებენ ჩვენი **მეხილეები, მეკარხლეები, მებოსტნეები, მეცხოველეები.** მათ დიდი გადაჭარბებით გაანადგეს 1967 წელს ნაკლისი ვალდებულებანი. გადაჭარბებით არის შესრულებული **მარცვლეულის** დამზადების გეგმა. **მეცატრუსეებმა** სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს ათასობით ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი. შესრულებულია საშემოდგომო თავთივანი მარცვლეული კულტურების თესვის დავალება.

აღსანიშნავია, რომ 1967 წლის 1 დეკემბრისათვის რესპუბლიკაში რძის საერთო წარმოება შეადგენდა 184 ათას ტონას, ხოლო 1966 წელს იყო 174,3 ათასი ტონა. შესაბამისად: 1967 წელს მიღებულია ერთ საფურაქე ძროხაზე, 1.046 კილოგრამი, 1966 წელს კი 1.008 კილოგრამი.

დიდად გაიზარდა სოფლის მეურნეობის ტექნიკით შეიარაღება. იგი უფრო გაიზრდება 1968 წელს. **1967 წელს სოფლის მეურნეობამ მიიღო** დაახლოებით 3.260 ტრაქტორი, 260 მარცვლის ასაღები კომბაინი, 1.000 სატვირთო ავტომანქანა, 800 ტრაქტორის მოსაბმელი, 290 ელსაკავატორი, 140 ბულდოზერი, 461 ათასი ტონა მინერალური სასუქები, აგრეთვე დიდი რაოდენობით მიიღო შხამქიმიკატები, ჰერბიციდები. **1968 წელს სოფლის მეურნეობა მიიღებს:** 3.325 ტრაქტორს, 260 ცალ კომბაინს, 1.400 ცალ სატვირთო ავტომანქანას, 260 ცალ მსუბუქ და 105 ერთეულ სპეციალიზებულ ავტომანქანას, 664 ცალ მიწის სათხრელ მანქანას.

წინასწარი მონაცემებით 1967 წელს სოფლის მეურნეობის სამუშაოებზე დაიხარჯა 31,5 მილიონი მანეთი. სარწყავი მიწების ფართობმა 370 ათას ჰექტარს მიაღწია, ხოლო დაშრობილი მიწების ფართობმა — 126 ათას ჰექტარს. კოლხიდის დაბლობის 220.000 ჰექტარი დაჭაობებული ფართობიდან ამშრობილია 70.000 ჰექტარზე მეტი. ამ მიწებზე შეიქმნა ათობით საბჭოთა **მეურნეობა და** კოლმეურნეობა.

1967 წელს დიდი სამუშაოები შესრულდა **ზემო ალაზნის** სარწყავი სისტემის მშენებლობაზე. დამთავრების შემდეგ იგი მოარწყავს 110 ათას ჰექტარ მიწას. 1968 წელს წყალთა მეურნეობის მშენებლობის ძირითადი ობიექტები იქნება: **ზემო ალაზნის, ქვემო სამგორის და საგურამოს მეორე რიგის სარწყავი სისტემები, ოქუმ-ხუმუშკურის წყალდამშრობი ნაგებობანი, კოლხიდის წყალდამშრობი სისტემის რეკონსტრუქცია.**

ახალი წელი გვპირდება, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება 1967 წელთან შედარებით გაიზრდება 7 პროცენტით. ბევრი და დიდი ღონისძიებები განხორციელდება მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში ფართოდ დანერგვისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები კვლავაც იზეიმებენ ახალ, დიდ გამარჯვებას.

მეციტრუსეთა ნოგათეგი

საქართველოს კპ ხობის რაიკომის პირველმა მდივანმა ალ. **ფურფურმა, რაისაბჭოს** აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ბერაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. ბილასონიამ გუშინ გზით „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, **რომ** რაიონის **მშრომელებს საიუბილეო** წელს სახელმწიფოსათვის **უნდა** მიეყიდათ 90 ტონა მანდარინის ნაყოფი. მიუხედავად ჭირვეული ამინდისა, **ხობელებმა პირობა** შეასრულეს და საამაყოდ ხედგებიან **ახალ** წელს. **სახელმწიფოს უკვე მიეყიდა 128,9 ტონა** მანდარინის **ნაყოფი, რაც ფლიერ** ბეგმის 128,9 **პროცენტს შეადგენს.**

ეცირე ეოგეონებე

რევაზ მარგიანი

იყო ომი და თოვლის ფანტელი,
სახეში გვცემდა ყინვა მაგარი,
სავსე სიცივით და ჟრუანტელით
იმედს უხმობდა ჩვენი სანგარი.
რომ არ ვთქვა, დღეს არ მეპატიება,
არ მოვიგონო არ მაქვს უფლება,
რაც გამახსენეს იმ წლის ტყვიებმა
და გარდასული ომის ღრუბლებმა.
ჰო, იყო ომი. ომი საზარი,
მისი ხმა მესმის ახლაც შორიდან...
მახსოვს, თუ როგორ შეხვდა სანგარი,
ჩოცა ახალი წელი მოვიდა.

მოვიდა. დავხვდით ჯარისკაცულად,
თითქოს აენთო ცეცხლი ჩამქრალი,
იმ ღამეს ფიქრმა ზღვა გადასცურა
და კვლავ მოძებნა ჩემი სახლ-კარი.

განა რა გვქონდა ძმებს გასაყოფი,
თოვლი გვებურა ვით ყაბალახი
და არ გაგვაჩნდა არცერთს სამყოფი
ცივი პური და ცხელი არაყი.

შევსვით ტკივილის გასაყუჩებლად,
აშკარა გახდა დარდი ფარული,
თრთოლვით წარმოთქვეს ჩვენმა ტუჩებმა:
დღეგრძელი იყოს ჩვენი მამული!

ვიდრე ცოცხალვარ, ვიდრე მაღელვებს
სიცოცხლე და სმა არ ჩამიწყდება,
ტყვიით შერუჯულ ძმათა სახელებს
არ დავანებებ გადავიწყებას.

ეს იყო ომში, ქარს და ყინვაში,
რის შემდეგ არსად არ მესვენება.
ვფიქრობ: ბედნიერ ამ წლის წინაშე
საჭირო იყო ეს გახსენება.

30 დეკემბერი, 1967 წ.

ოცნებათა რეალობა

ახალი წელია. სუსხი უვლის სამშობლოს მთებსა და ხეობებს. სიცივით პირი შეუკრავს მინდორველს... ამ დღეს ბუნება და ადამიანი ერთმანეთს არ ეთანხმება.

ასე მხურვალე, ოცნებით აგიზგიზებული ადამიანის გული და გონება, როგორც ახალ წელს, წელიწადის სხვა რომელმე დღეს არ არის. გასაგებია ეს საახალწლო თავისებურება.

ახალ წელს ჩვენ ვგრძნობთ და ვეხებით წლის თვითეულ დღეს. რა თქმა უნდა, არის რაღაც განმეორება ბესგავსი, მაგრამ უმთავრესად არის ბევრი რამ, ძალიან ბევრი რამ გამოუცნობი და მოულოდნელი. თვეები, კვირეები, დღეები, საათები და თუ გნებავთ, ყოველი წუთი სიახლეს, ჯერ არგანცდილს იტევს, ეხახვის, გეპირდება.

წლის პირველ დღესთან შეხვედრისას თითქოს სასწაულის გასაღებს ვიღებთ, რომელსაც მოელვარებით მოვარგებთ ხოლმე მორიგ განახლებათა მოგდენებს...

იღება ჭეშმარიტად სახალხო სიხარულის ტაძარი, ვისმენთ ბედნიერ ხმებს, შემდეგ მთელი წლის მანძილზე რომ მიგვიცილებენ.

ის, ვინც შარშან ამ დროს დაიბადა, მახლობლებს შეგნებულად უღიმის, ხელს უწვდის მათ, რათა გადადგას საკუთარი ნაბიჯი, მართალია, ჯერ კიდევ გაუბედავი, მაგრამ მაინც საკუთარი, დამოუკიდებელი.

ცეროდენას ამ ერთი ნაბიჯით შეიძლება გავზომოთ წლის სიდიდე და სიდიადე...

წლები, ეს ახალი ქალაქები, ინდუსტრიის გიგანტები, ფოლადის მაგისტრალთა ახალი კილომეტრები. ეს სოფელთა განახლებაა. ეს ახალი ბაღები და ვენახებია... მაგრამ ყველაფერი ეს ორგანულად უკავშირდება ადამიანს, რომელიც ცხოვრების ბობოქარ მდინარებაში დგას გამორჩეულად, როგორც მთავარი და შეუდარებელი შემოქმედი.

ახალი წლის ჩირაღდნებით განათებულ ჩვენს პლანეტაზე ყველაფერზე ზეწინ დგას ადამიანი.

ვიცით, რომ პატარა, რომელიც ხვალ ერთი წლისა გახდება, მერმის ამ დღეს ორი წლისა იქნება... ვინ რვა წლისაა... ოცდაორისა... ვინ ორმოცდახუთისა ან სამოცისა... და ეს არის არა უბრალოდ წელთა მატება, არამედ ხალხის, საზოგადოების, კაცობრიობის ზრდაა.

ყოველ ადამიანს ვინ იცის მერამდენე თაობის ცხელი სისხლი დაუქვს, რამდენი წინაპრის გულისცემას აგრძელებს ადამიანი!

ოქტომბრის დაბადების სიხარული დედამიწაზე ყველაზე მართალი სიხარულის დაბადება იყო. ამიტომ წლითწლობით იზრდება იგი. მას ზრდის მილიონთა ხელი და მეცადინეობა. ორმოცდაათიანი ოქტომბრის საიუბილეო ჩირაღდნებმა მოგვიყვანეს ახალი წლის ბედნიერ მიჯნამდე.

ოქტომბრის სამშობლოს ხალხი, მისი თვითეული წევრი დღეს უფრო მაღალი ჩანს, ვიდრე ოდესმე იყო. ამ ხალხმა წელს შორეულ ვენერას მიაწვდინა თავისი დიდებული ნახელავი...

ეს საოცრება განახორციელა ადამიანმა, რომელიც დღევანდელი **სინამდვილით** გახუნებულ ზღაპრებს ამ სამოცი, ორმოცი, თუნდაც ოცდაათი წლის წინათ მხოლოდ ოცნებით აჰყავდა ვარსკვლავეთში.

ყველაზე მართალი სიხარულის დაბადება იყო. ამიტომ წლითწლობით იზრდება იგი. მას ზრდის მილიონთა ხელი და მეცადინეობა. ორმოცდაათიანი ოქტომბრის საიუბილეო ჩირაღდნებმა მოგვიყვანეს ახალი წლის ბედნიერ მიჯნამდე.

ოქტომბრის სამშობლოს ხალხი, მისი თვითეული წევრი დღეს უფრო მაღალი ჩანს, ვიდრე ოდესმე იყო. ამ ხალხმა წელს შორეულ ვენერას მიაწვდინა თავისი დიდებული ნახელავი...

ეს საოცრება განახორციელა ადამიანმა, რომელიც დღევანდელი **სინამდვილით** გახუნებულ ზღაპრებს ამ სამოცი, ორმოცი, თუნდაც ოცდაათი წლის წინათ მხოლოდ ოცნებით აჰყავდა ვარსკვლავეთში.

ოცნებათა რეალობა

თავისუფალი შენების წლებმა ძლიერი ფრთები შეასხეს ადამიანთა ულამაზეს გატაცებებს. საუკეთესო ოცნებანი რეალობად იქცევა!

ახლა არავის დაეჭვება არ გამოიწვევს იმის თქმა, რომ დადგება წელი, როცა ვარსკვლავეთიდანაც მივაღწევთ საახალწლო მოლოცვას. სამოცდაოთხ წელი, რომელიც დაიწყო, დიდ საფეხურს გააკეთებს სამყაროს სიმაღლეებისაკენ...

ამ ამაღლებისათვის საჭიროა თვითეული ჩვენგანის დიდი ღვაწლი. გვესაჭიროება ფოლადიც და მტევანიც, ელექტროსადგურიც და ტრაქტორის საპის მართვაც. გვესაჭიროება ცოცამბჯენები და მწყემსური ქოხები მთებში და ველებზე.

რამდენი ძველათ ღარიბი, გაჭირვებული გლეხკაცის შვილია დღეს აკადემიკოსი და დოქტორი, გმირი და დეპუტატი. ეს მოგვიტანა განახლების წლებმა. ძველდროინდელს როდი ჰგავს ჩვენი ეპოქის ახალი წლის დაბადება.

ბედნიერება მთელი საზოგადოების კუთვნილებაა. ყოველი ახალი წელი ზრდის ამ ბედნიერებას. აი სწორედ ამის ღრმა შეგნების შუქი გაიელვებს საახალწლო სადღეგრძელოებზე.

თვითეული პატიოსანი მშრომელი დღეს გულსავსეა, მან იცის, რომ ყველაფრის ერთბამად მოპოვება არ შეიძლება. მაგრამ ისიც იცის, რომ კეთილი, ბეჯითი შრომა ფრთებს შეასხამს საახალწლო სურვილებს, რომლებიც დღეს ყველას ოჯახში და ყველას გულში იბადება, ჰყვავის.

სამოცდამერვემ გამოგვიწოდა თავისი იმედიანი და მხურვალე ხელი. ეს ხელი გვეწვევა ახალი საქმეებისაკენ. ამ საქმეებს სადიდებელს იტყვიან სახლები, ქუჩები, ქალაქები, სოფლები, სადიდებელს წარმოთქვამს თვითეული ჩვენთაგანი!

ახალი წლიდან ვკვლავ დაიწყო ყველაზე მეტად სასიამოვნო შრომა! შრომა მარტენის ღუმელთან, ველზე, სტუდენტურ მაგიდასთან, შრომა ყველგან, სადაც ადამიანია, სადაც **მისი** დალოცვილი მარჯვენა და კეთილი გული!

საახალწლო ზეიმში გამოერევა სევდაც. დღეს ჩვენ ყველას გვტკივა ვიეტნამელი პატრიოტის ტკივილი. საბერძნეთის საუკეთესო შვილები ციხეში არიან გამომწყვდეული. არ შეიძლება ამის დავიწყება! ახალ წელს ბედნიერებას თანერთად განსაკუთრებული პასუხისმგებლობაც მოაქვს. სევდის გახსენება საჭიროა იმისათვის, რომ ვიცოდეთ ნამდვილი სიხარულის ფასი, რომ ყოველივე ის, რითაც ვტკბებით დღეს, მოპოვებულია ორმოცდაათწლიანი ოქტომბრის ტიტანური შრომით და ბრძოლით, ოფლით და სისხლით.

ჩვენ არაერთხელ გვქონია ძნელი ახალი წელიწადი. მაგრამ ადამიანი განჭვრეტავს დროის უფრო დიდ მანძილს, ვიდრე ერთი წელია, და სჯერა, რომ სიძნელეს გადალახავს, დაძლევს, რომ სანუკვარი მიზანი, რომელზეც მიგვითითა მთელი სამყაროს ყველაზე დიდმა შვილმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა, მიღწეული იქნება!

ეს შეურყეველი, ყველაზე მაღალი რწმენა აწესრიგებს ძვრებს და მოვლენებს ჩვენს პლანეტაზე. ამ ბრძოლასა და წინსვლაში ისტორიული მისიით მოდის ყოველი წელი.

საზოგადოებისა და პიროვნების ცხოვრება განუყოფელია. ამიტომ დღეს მარტო ჩვენი საკუთარი ოჯახის კედლებით როდი ვართ შემოფარგლული.

როცა შვილს ხუთიანი მოაქვს სკოლიდან, გვიხარია, იმიტომ რომ ის ეკუთვნის მომავალს, საზოგადოებას.

დღეს მთელი ხალხია გახარებული და ამიტომ ამ ბედნიერებას ასე დიდი კმაყოფილება ახლავს.

კარგია შენს მშობლიურ მიწაწყალზე ყოველი დღე. მაგრამ რა შეედრება სამშობლოს ახალ წელს, რომელიც ძლევამოსილად შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში.

ვლადიმერ გელაშვილი.

ქ. ცხინვალი.



ახალი წლის სიხარული. ფოტო მ. შოშიაშვილისა.

უკვდავება

ეტისმეტად სუსხიანი იყო ის ზამთარი იმერეთში, ნოტიო ცივი ქარი საკვამურიდან კვამლს ამოსვლას არ აცლიდა — გლეჯდა და წეწავდა. აყვრიან ოდა-სახლებს ბოლი რომ არ ასდიოდა, შორიდან ნასოფლარს ჰგავდა სოფელი.

არც სიმღერა უთქვამს ვინმეს და არც თოფი უსვრია. ციოდა სულში, შინ და გარეთ... ასე გათენდა 1942 წლის დილა.

ქუთაისიდან ერთი-ორი ბიჭი ამოვიდა, „მასტერაოზე“ მუშაობენ, არც იმათ ამოიტანეს კარგი ამბავი. მრგვალი, შავი რეპროდუქტორი ხომ გულგასახეთქის მეტს არაფერს ამბობდა.

სიმღერას და თოფის სროლას ჩიოდა სოფელი? ოლონდ არავინ შეეცხადებინათ ამ ახალწლის დილას, სამხიარულოდ ვის ეცალა.

— მომილოცავს, ბაბუა, ახალი წელიწადი! —

— იცოცხლე!.. ძლივს თქვა ბერიკაცმა.

— ბაბუა, ვარლამიას ორდენი მიუღია, გეიგე!?

— ვარლამია უძახე შენ...

— წერილი მიუღიათ... იწერება, მარა რას იწერება...

— რაიო!

— რაო და, სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებსო...

— სიკვდილი და გადაშენება მაგენის სახსენებელს... მარა კლასიდან ხომ არ გამოუგდიხარ, ბაბუ!

— დამითხოვეს, ბაბუა...

— კაი უქნიათ, შვილო...

— კლასში მოვილაპარაკეთ, ომში წასულების ოდები გადმოვთოვლოთ, თოვლი არ მოვიდა, მარა... ამ დასაქცევმა ქარმა სულ გადახადა ყავარი სახლებს და ახლა...

— ომის ქარცეცხლმა ყველა ოჯახს გადახადა სახურავი, შვილო... — ამოიოხრა მოხუცმა.

ცეცხლი ენთო მოხუცის გულში, ბუხარში რომ დიდი კუნძი გიზგიზებდა, იმ ცეცხლზე უფრო დიდი. წავიდნენ ბიჭები, ომში წავიდნენ. ხუმრობა საქმეა, 400 ბიჭი წავიდა ამ ერთი სოფლიდან, ყველა ახლობლები — ძმები, ბიძაშვილები...

ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. ხან მოიმატებდა ალი, ხან ჩაქრებოდა... მიშტერებოდა ბერიკაცი ცეცხლს... ფიქრობდა, რომ ამ ცეცხლს ჰგავს კაცის ცხოვრება, გიზგიზებს და ბოლოს ჩაქრება... ჩაქრობას კიდევ რა უშავს, ჩააქრობენ.

ეს დასაწყავი „შავი ქალალდი“ შეეჩვია სოფელს. ქალი ალარ დარჩა, შავი რომ არ გაეტრთა...

რაიონის კომისარიატის ერთი თანამშრომელი იყო ამოსული. იმან შეაგროვა სოფლის ცენტრში ბიჭები. და წავიდნენ... იყო სიმღერა. ცეკვა-თამაში, ტირილი, სიცილი... ყველაფერი იყო, მხოლოდ სიხარული გადაკარგულიყო გულებიდან სადღაც ცხრა მთას იქით...

ასე იყო მთელ საქართველოში, სომხეთში, უკრაინაში, რუსეთში, ბელორუსიაში, შუა აზიაში... ასე იყო მთელ ქვეყანაზე.

ყველა ქალაქიდან, ყველა სოფლიდან წავიდნენ, წავიდნენ ბიჭები და სანგარში მუხლისთავზე დაწერილ სამკუთხა წერილის მოლოდინში დააწყდათ დედებს თვალები...

წუთისოფელი ასეა... ზოგი დაბრუნდა, ზოგი დაიღუპა, ზოგი დაიკარგა, ზოგი ხეიბარი დარჩა, ზოგს დახვდა ოჯახში ვიღაც, ზოგი სულ გამოცარიელებულ კერას დაუბრუნდა...

რაც მტრობამ დაანგრია, სიყვარულმა მალე ააშენა და დაამკვიდრა. ისევ გაცოცხლდა სოფელი. ის ცხრა მთას იქით გადაკარგული სიხარული ისევ დაბრუნდა...

1946 წლის ახალი წელიწადი ძველებურად გაითენა სოფელმა. ისეთი სიმღერები და სროლა იყო, ის ღამე ჰგავდა ომს, მშვიდობის პირველი ახალწლის ღამე.

იმერეთში ერთი უდარდელი სიმღერა გამიგონია ბავშვობაში. „უბეში ჩაგიგოდდები, შენი ხელით მასვი წყალიო“... ბიჭები ამ სიმღერას ისე უდარდელად მღეროდნენ, ისე ლაღად, თითქოს გულს დარდი არასოდეს მიჰკარებია.

— ამ ჭიქით, ვინც წავიდა და ალარ დაბრუნდა, იმას გაუმარჯოს!..

...ომში დაღუპულებს გაუმარჯოთ! — ყველგან ასე სვამენ ამ სადღეგრძელოს ჩვენში.

„დაღუპულს გაუმარჯოს?“ დიახ, „გაუმარჯოს დაღუპულს“, ამაშია ჩვენი ხალხის ძალა და უძლეველობა და სანამ ასე ერთად ვიქნებით ცოცხლები და დაღუპულები, მანამდე იცოცხლებს მუხაცა და ფესვებიც.

ახლა იმერეთის პატარა სოფელ გვიშტიბის ცენტრში შინმოუსვლელთა ძეგლია აღმართული. ასეთი ძეგლია ქარელში, მახარაძეში, ხიდნაღში... ბათუმთან, სოხუმში. რუსეთის სოფლებშიც ბევრი მინახავს ასეთი ძეგლი...

ეს მათი ხსოვნაა, ვინც ომში წავიდა და ალარ დაბრუნდა... აქ ქუდს იხდის ყველა.

...მოსკოვში კრემლის კედელთან ერთი საფლაქია — სადა და დიდებული. ყველა შინმოუსვლელის საფლავი ის არის. ყველა შვილდაკარგულის დასატირებელი და საკუთრება. იქ ვიუყავი, როცა ამ საფლავზე მარადიული ცეცხლი აანთეს: ტიროდა ხალხი, უხაროდა და ტიროდა... „ჩემიაო“ — ირწმუნებდა ერთი თვალცრემლიანი დედაკაცი, სამბეე ბიჭი კრიუკოვოსთან დამეღუპაო. ერთმა ქურქიანმა შავწვერა და თმამოშვებულმა ბრგე კაცმა დაიჩოქა და პირჯვარი გადაიწერა, გვერდზე პატარა ბიჭი ედგა. ასე ექვსი წლისა, იმასაც ქურქი ეცვა. „დაიჩოქე, ფედია“... უთხრა ბიჭს და დაიჩოქა.

...აქ ხალხი არ ილევა, უცნობი ჯარისკაცის საფლავი ყველას ეკუთვნის და, ბუნებრივია, ყველა ჭირისუფლობს. აქ ყველას ეწვის გული, თავისი სატკივარი აქვს...

და ეს ასე გადაეცემა შთამომავლობას — სხვა არაფერია უკვდავება...

აი ეს ახალგაზრდა ქალი (ამ სურათზე რომ ხედავთ) არ მოსწრებია ომს, მერე რა... ხომ იცის მამების, ძმების ამბავი...

მოდიოდა მარტო, ხელში ყვავილები ეჭირა. მაშინვე ვიცანი ჩვენებური. ჩვენთვის არ შემოუხედავს. ერთხანს უყურა ცეცხლს, მერე დაიწყო ყვავილები და წამოვიდა.

— ქართველი ბრძანდებით? —ვკითხეთ ჩვენ.

— დიახ... — დაიბნა.

გვარად მგელაძე, ასპირანტი, ომი რომ დაიწყო, იმ წელს დაბადებული. მეტი ვერაფერი ვკითხე, იქნებ ახლობელი ჰყავდა კიდეც ვინმე ომში დაღუპული, იქნება მას არავინ დაღუპვია, მაგრამ მერე რა... მე, შენ, სხვას ხომ დაღუპავ... დიდხანს ვიდექით კრემლის კედელთან და ვიგონებდით ყველას, ვინც წავიდა და ალარ დაბრუნდა...

ახალი წელია. ჭიქებს გაავსებ ლი, მეკვლეს მოაქვს სიხარული და ბედნიერება, ისმება სადღეგრძელოები გუთნისდედის, ხუროს, მუშის, მშენებლის, სიმართლის, მშვიდობის... და თქვენც ჩვენთანა ხართ... თქვენ, იმ „ქარცეცხლიან დღეებს“ რომ ვერ გადაურჩით.

ახლა მე თქვენზე ბევრად ხნიერი ვარ უკვე... გადაგახსწარით, მაშინ კი ბიჭი ვიყავი, თქვენ რომ წახვედით... თქვენ მაშინ ვაუკაცები იყავით... თქვენ ბაბუები დარჩებით მარად...

არ არსებობს ქვეყნად ისეთი ქარტეხილი, რომელმაც, კრემლის კედელთან რომ ცეცხლი ანთია, ის ჩააქროს... მოვა კიდევ ბევრი სამოცდარვა და ოთხმოცდარვა... საუკუნეს საუკუნე შეცვლის. შენს საფლავს კი ყვავილებით შეამკობენ დედები, დები და ქალიშვილები. შენი ტოლები და თანასწორები, უმშვენიერეს გულისტოლად რომ ერგებოდი კაცობითა და ვაჟკაცობით... ასე დარჩები ჭაბუკ, უკვდავო ჯარისკაცო! გიგონებ და გხედავ უკვდავს...

შენი მადლია, რომ ჩვენ ახალი წელი გვაქვს. და მე ვუფურებ ჩემი შვილის სიხარულს, ნაძვისხის ნათურებს რომ უგავს თვალები...

რ. დვალიშვილი.

* * *

სურათზე: ქართველი ქალიშვილა უცნობი ჯარისკაცის საფლავთან.

ქომუნისტი

მე-3 გვერდი, ორშაბათი, 1 იანვარი, 1968 წ.

ჩვენს ყაზ-ჟყაზეში

გვატყობინებენ „კომუნისტისა“ და საქდენის კორესპონდენტები

ქართული ლუდი ჩეხურად

საქართველოს მოქმედ საწარმოთა მწყობრში ჩადგა წნორის ახალი ლუდის ქარხანა. მიხი სიმძლავრეა 20 ათასი დეკალიტრი მაღალხარისხოვანი ლუდი და 5 ათასი დეკალიტრი უალკოჰოლო სასმელები წელიწადში. ახალი წლის დამდეგიდან ქარხანა დაიწყებს მუშაობას სრული სიმძლავრითა და უზრუნველყოფს ლუდით ქახეთის ყველა რაიონს.

ამ საწარმოს მოწყობილობა დაამზადა ჩეხოსლოვაკიის ქალაქ გრადეც კრალოვში „ხეპოსის“ ფირმამ. იგი დაამონტაჟეს და აამუშავეს აგრეთვე ჩეხოსლოვაკიელმა სპეციალისტებმა, რომელთა შორის იყვნენ ირჟი ბარეში, იოზეპ მატუშეკი, სვიატოსლავ იჩინსკი, იაროსლავ გორეკი და სხვები.

ქართველი მელუდეები მაღალ შეფასებას აძლევენ ჩეხოსლოვაკიაში დამზადებულ მანქანებსა და მექანიზმებს.

— სამაცივრო დანადგარები, ორთქლისა და გამოსახდელი ქვაბები და სხვა მექანიზმები უნაკლოდ მუშაობენ. ლუდის ხარისხი უმაღლესია. ამ სასმელის მოყვარულები მადლობას უთვლიან ჩეხოსლოვაკიელ მეგობრებს, — თქვა საწარმოს დირექტორმა შ. ტუღუშმა.

— ჩვენც მადლობას ვუძღვნით ქართველ ამხანაგებს გულთბილი სტუმართმოყვარეობისათვის, — ამბობს „ხეპოსის“ ფირმის ტექნოლოგი იაროსლავ გორეკი. — აღტაცებული ვართ საქართველოს მშვენიერი ბუნებით, მისი შესანიშნავი ადამიანებით. (საქდეს).

საახალწლოდ ბულგარელ მეგობრებს

ახმეტა. (საკ. კორ.). რაიონის ერთ-ერთი უდიდესი მატნის საშუალო სკოლის კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები მეგობრული ძაფებით არიან დაკავშირებულნი მოძმე დემოკრატიული ქვეყნების მოსწავლე ახალგაზრდობასთან. ამ დღეებში მატნის საშუალო სკოლის მეექვსეკლასელებმა მიიღეს წერილი ბულგარეთის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ბლაგოევგრადის ოლქის მოსწავლეებისაგან. ბულგარელი ჯუმალ სკიზოვისა და მისი თანაკლასელებისა სახელზე მატნელმა ბავშვებმა საახალწლო საჩუქრები და საპასუხო ბარათები გაგზავნეს. პიონერთა ოთახში მოეწყო გამოფენა — „ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები“.

რეკონსტრუქციის ფინიში

კაპიტალური შეკეთებისა და რეკონსტრუქციის შემდეგ ამუშავდა რუსთავის ამონო-სამრეცხაოების კომბინატი. ახლა იგი მოთავსებულია ვრცელ ორსართულიან შენობაში და აღჭურვილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. კომბინატი ყოველდღე მომსახურებას გაუწევს ათასამდე კაცს.

კომბინატში არის ვაჟთა და ქალთა სპარიკმახაროები, მანიკიურის განყოფილება. (საქდეს).

არქეოლოგიური გათხრები

მარნეული, 30 დეკემბერი. (საქდეს). რაიონის ტერიტორიაზე — სოფელ იმირის და დაბა შულავერის მიდამოებში უკვე მესამე წელია მიმდინარეობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციის არქეოლოგიური გათხრები.

გათხრების შედეგად დაბა შულავერის ყორღანზე და სოფელ იმირის გორაზე აღმოჩნდა ძველი ნამოსახლარი ადგილები.

გაზაფხული ციხეფერ ეკრანზე

ნორჩების დიდი სიყვარულით ხარგებლობს ბათუმის ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის ქორეოგრაფიული ანსამბლი „გაზაფხული“.

ნორჩი მოცეკვავეების ხელოვნებას კარგად იცნობენ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. ანსამბლმა მოიარა საბჭოთა კავშირის ბევრი ქალაქი — მოსკოვი, რიგა, ბაქო, თბილისი, ლენინგრადი.

კომკავშირის საოლქო კომიტეტმა ნორჩი მოცეკვავეები საკავშირო პიონერული ბანაკის „ორლიონოკი“ საგზურით დააჯილდოვა. აქ ბავშვებმა მონაწილეობა მიიღეს ბავშვთა ხელოვნების პირველ ფესტივალში, დაიკავეს პირველი ადგილი და ფესტივალის ლაურეატობა დაიმსახურეს. ამას წინათ ცენტრალური ტელევიზიის მიწვევით „გაზაფხული“ მოსკოვს გამგზავრა.

ბათუმელმა ნორჩებმა, რომლებსაც 10 წუთი დაეთმოთ, აჩვენეს ცეკვები „მთიულური“, „ვანდაგან“. ანსამბლის ყველაზე ნორჩმა მონაწილემ 5 წლის ჯემალ ჩაუშბამ იმღერა „მოსკოვური სალამური“.

შ. მახარაძე.

კაპიტნები გვატყობინებენ...

ახალ წელს თან მოაქვს ახალი სიხარული, ბედნიერება, გამარჯვებები. მაგრამ ყველა როდი შეხვდება ახალ წელს თავის ოჯახში. მოოფლიოს ზღვებსა და ოკეანეებში არიან გასული ჩვენი თევზსაჭერი ხომალდები. ათასობით კილომეტრი აშორებს მათს ეკიპაჟებს მშობლიურ კუთხეს, მაგრამ გულით ისინი ჩვენთან არიან და ჩვენთან ერთად ასწევენ ჭიქას ახალი წლისა და ჩვენი ქვეყნის სადიდებლად.

ამ დღეებში „კომუნისტის“ კორესპონდენტი გურამ ხარაიძე დაუკავშირდა თევზსაჭერი ტრაულერების — „ხალხინოს“, „ფოთის“, „მცხეთის“, „კოლხიდის“ და „ახუნის“ კაპიტან-დირექტორებს, მიუღოცა მათ მომავალი ახალი წელი და სთხოვა ორიოდე სიტყვა ეთქვათ ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის.

* * *

„მცხეთა“ ამჟამად საბერძნეთის ნაპირებთან იმყოფება. გეზი ატლანტის ოკეანესაკენ გვაქვს აღებული. ზღვაში ნახევარ წელზე მეტს არ დავყოფთ და იმედი გვაქვს მდიდარი „ნადავლით“ დავბრუნდეთ შინ. მხურვალედ ვუღოცავთ ახალ წელს ჩვენს ოჯახებს, საქართველოს მშრომელებს და ჩვენს ძველ მეგობრებს — ქალაქ მცხეთის!

კაპიტან-დირექტორი ბურგენიძე.

* * *

„ახუნა“ რეწვა დაამთავრა და გამარჯვებულნი ვბრუნდებით შინ. თევზჭერის წლიური გეგმა დიდი გადაჭარბებით შევასრულეთ. ჩვენი ბიჭები, მართალია, ძალიან დაიღალნენ მუშაობით და სტიქიასთან ბრძოლით, მაგრამ მაინც მხნენ არიან და მოუთმენლად ელიან მშობლიური ნაპირების გამოჩენას. ახალ წელს ატლანტიკის ოკეანეში შევხვდებით და თქვენთან ერთად ვადღეგრძელებთ ვაუკაცის მოუღლელ მარჯვენას.

კაპიტან-დირექტორი სპანიძე.

* * *

„სალხინო“ ატლანტიკის სამხრეთ-დასავლეთში, ბრაზილიის ნაპირებთან იმყოფება. ტრაულერის ეკიპაჟმა, ისევე როგორც სხვა ჩვენმა კოლეგებმა, კარგა ხანია ვუპატაკეთ სამშობლოს გეგმის შესრულება. ამჟამად ტრაულერის საწყობები თევზს ვერ იტევს და დაცლის მოლოდინში ჩვენც „საშინაო“ საქმითა ვართ გართულნი. ვსარგებლობთ შემთხვევით და „სალხინოს“ ეკიპაჟის სახელით მოდამ ლხინს, ბედნიერებას და ჯანმრთელობას ვუსურვებთ ძვირფას თანამემამულეებს.

კაპიტან-დირექტორი ჯოჯუა.

* * *

„კოლხიდა“ თევზჭერას განაგრძობს აფრიკის ჩრდილოეთ ნაპირებთან. ამინდი ძალიან კარგია. კარგ გუნებაზე ვართ, ძალლონეს არ დავიშურებთ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი ნედლეული მივცეთ სამშობლოს. „კოლხელები“ თავს არ შევირცხვენთ. შინ ახალ, 1968 წელს დავბრუნდებით. პირველ იანვარს კი რადიომიმღებით სამშობლოს ხმას მოვისმენთ და თბილისის დროით ვადღეგრძელებთ მომავალ წელს.

კაპიტან-დირექტორი გუნია.

* * *

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია მადლობას უხდის „საქთევზრეწვის“ სამმართველოს კავშირგაბმულობის უფროსს ამხ. ი. შველიოვს, რომელიც დაგვეხმარა ოპერატიულად დავკავშირებოდით ჩვენს თანამემამულეებს, და ბედნიერ ახალ წელს უსურვებს ყველა იმათ, ვინც პირნათლად ემსახურება ამ კეთილშობილურ და ძნელ საქმეს შორეულ ზღვებსა და ოკეანეებში.

„ძვირფასო ბორის! იმედია არ მიდალატებ და ახალწლის დილას პირველად შენ მესტუმრები. შენი ბედნიერი ფეხი კარგად დავცადე, წელს კი ყველაზე მეტად მჭირდება კეთილი მეკვლე. ხომ იცი, ჩემი ლეილა საშუალოს ამთავრებს და უმაღლესში უნდა მოეწყოს. აბა, შენ იცი, არ მიღალატო. იყავ ჯანმრთელად, ჩემო ძვირფასო!“

მართალია, ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ ჩემი ოჯახის ახალი მეგობარი, დოცენტი ბორის ნეიძე როგორც ყოველთვის, ახლაც პირველი მოგვილოცავდა ახალ წელს, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის მაინც შევახსენე.

მართლაც ფეხბედნიერი იყო. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ათი წლის განმავლობაში იგი პირველი გვილოცავდა ახალწლის დილას და მთელი ის ათი წელი ბედნიერი გვქონდა. ძნელია ჩამოთვალო ყველაფერი, რა სასიხარულო და სასიამოვნო რამ გარდამხდა ცხოვრებაში ამ ხნის განმავლობაში. ახლა კი მთავარი იყო ლეილას მოწყობა უმაღლესში. ბორისი მყავდეს ყოჩაღად და ყველაფერი მოგვარდება!

ის ყოველთვის მძიმედ დატვირთული მოდიოდა ხოლმე ათასგვარი ტკბილეულითა და ვოზინაყით. ტკბილმოსაუბრე და ტკბილმოუბარი იყო. კარგადაც მღეროდა. ერთი სიტყვით, მისი მოსვლა ზეიმი იყო ჩვენთვის. ეს სიხარული და სითბო თითქმის მთელი წელი გვყოფნდა.

პირველ იანვარს ადრე ავდექი, მიველოცე შინაურებს და წავედი კარის გასალებად, რომ მეკვლე თავისუფლად, დაუკაკუნებლად შემოსულიყო.

და მაშინ მოხდა, რაც მოხდა!

სამი თვის წინათ ჩვენს მეზობლად ახალი ოჯახი დაბინავდა. მათი რვა წლის თემური ჩვენი ხმირი სტუმარი გახდა. დედისერთა იყო და საკმაოდ გათამამებული. არც ღილა იცოდა, არც ღამე, როცა მოესურვებოდა, მაშინ შემოიჭრებოდა; რომ ჩვენს უმცროს ვაჟთან ეთამაშა.

ის იყო უნდა გამეღო კარი, რომ სახელურს მეორე მხრიდან ვიღაც დაეჯაჯგურა. როცა შეატყო, არ იღებოდა, კარს მუშტები დაუშინა.

— ის გადარეული თემურია, რა ეკნა? — მოვუბრუნდი მეუღლეს.

— რას ამბობ! — წამოიძახა ქალმა და საწოლში წამოჯდა. მე უცებ ვერ მივხვდი, რამ განაცვიფრა იგი, ბავშვს შინ რომ არ ვუშვებდი, იმან, თუ იმან, რომ თემური კარის დამტვრევას აპირებდა.

— არ გაგაღებ და ის იქნება! — ვთქვი გაცხარებულმა.

— გინდა რომ მოიმდურო მეზობლები? — სწრაფად გადაიცვა მეუღლემ კაბა, ფოსტლებში წაჰყო ფეხები. საწოლიდან წამოცვივდნენ ბავშვებიც.

— ვეტყვი, რომ მერაბს სძინავს. არა, ნამდვილად შევიშლები და ეს არის! რა დროს თამაშია, ჯერ არც კი გათენებულა. მე და ჩემმა ღმერთმა, ძალიან კარგი ახალი წელი დაგვიდგა!

კარი სულ ცოტაზე გავაღე, რომ თემურისათვის რაღაც მეთქვა, არც კი მაცალა ხმის ამოღება. როგორც ხვლიკი ისე შემოსხლტა ოთახში. არც უფიქრია მოლოცვა. მშობლები კი როგორ არ არიგებდნენ! გონზე არც კი ვიყავი მოსული, რომ თემურის კვალდაკვალ ფოსტლების ფლატა-ფლუტით გამოგვეცხადა დედამისი.

— ძალსაც არ გაცდით ეს არგასაზრდელი, არა?

დილიდანვე წყევლა გაისმა ჩემს ოჯახში. ეს უკვე მეტისმეტი იყო. მეზობლის ქალმა გაიღიმა, მომილოცა დღესასწაული და პირში „დათუნია“ ჩამჩარა. მაგრამ ვინება უკვე მოწამლული მქონდა.

დაიწკრიალა ტელეფონმა.

— ჩემო დავით, გილოცავ ახალ წელს. მოვრბივარ! — გაისმა ბორისის ხმა.

— დაგასწრეს, ბიჭო! — ძლივს ამოვღერღე და ცივად დავდე ყურმილი.

ამი დღის შემდეგ გრიპი შემეყარა და სამი დღე ვიწექი. თავბედს ვიწყევლიდი.

— აი თემურის მოსვლის შედეგი. მთელი წელი მოწამლული უნდა მქონდეს, მეკვლის წყევლითა და აყალმაყალით რომ დაიწყო... — ვბურტყუნებდი ჩემთვის.

როგორც კი ფეხზე დავდექი, მაშინვე დავითხოვე თემური.

— გონს მოდი, კაცო, რას აკეთებ! — ცოლი ცდილობდა დაეშოშვიდებინე, მაგრამ მე ძალიან ვიყავი გულმოსული. — ვაკეთებ იმას, რაც საჭიროა. მისი ფეი აქ აღარ იყოს! ერთხელ და სამუდამოდ! — დავიყვირე მე.

— რა ესმის, ბავშვია.

— ბავშვი! ბავშვი! ბავშვი კი არა, ეშმაკია!

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე. კატა დაკვეკარგა. ამან კი სულ მთლად გადამარია.

დავემდურე მეზობლებს. ისინი ჩვენკენ აღარც კი იხედებოდნენ. თემურს თუ სადმე მოგკრავდი თვალს, თითს დაუშვერდი: „აი შე ეშმაკის კერძო, შენა!“

გადიოდა დრო. თემური აღარ გვეკარებოდა. ერთხელ შინ გახარებული

მეკვლე

თენგიზ გოგოლაძე

— „ეს სურათი ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ს. კილაძემ გასული წლის უკანასკნელ ღამეს გადაიღო დედაქალაქის შუაგულში — რუსთაველის მოედანზე.

სპორტი

შესვენება ერთი ქვირით

საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე კალათბურთელთა კოლექტივებს არდადეგები აქვთ — შესვენება 6 იანვრამდე გაგრძელდება.

დღემდე ვაფთა გუნდების დიდ უმრავლესობას გამართული აქვს ათ-ათი თამაში. წინ არიან კაუნასის „ყალგირისისა“ და თბილისის „დინამოს“ გუნდები, რომლებსაც რვა-რვა ჭულა აქვთ. მესამე ადგილზეა ლენინგრადის „სპარტაკი“ — 7 ჭულა. სამ გუნდს — ცსკა-ს, კიევის სკა-სა და „სტროიტელს“ ექვს-ექვსი ჭულა აქვთ. თბილისის „ბურევესტნიკს“ ხუთი ჭულა აქვს.

ლენინგრადსა და ელექტროსტალში ამოიწურა ქალთა გუნდების ჯგუფური ტურნირები. საერთო მაჩვენებლებით ლიდერია რიგის ტტტ — 5 თამაშიდან 5 ჭულა.

ალბათ ბელგრადში...

1968 წელი მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტთა ტურნირის წელია. როგორც ცნობილია, მსოფლიოს ექსჩემპიონის მ. ტალის მეტოქე იქნება იუგოსლავიის არაერთგზის ჩემპიონი გროსმაისტერი ს. გლიგორიჩი.

ჟურნალისტთა შეკითხვაზე სად გაიმართება თქვენი და ტალის მატჩი, გლიგორიჩმა ასე უპასუხა — მატჩის გამართვის უფლება ითხოვეს გერმანიის ქალაქმა სოლინგენმა და იუგოსლავიის დედაქალაქმა ბელგრადმა. ეფიქრობ მატჩი ბელგრადში გაიმართება. არის აგრეთვე წინადადება — ნაცვლად ივნისისა შეჯიბრება აპრილში დაიწყოს.

სპორტული ქრონიკა

□ ახალი წლის წინ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ მოთამაშეთა დიდ ჯგუფს მიანიჭა სპორტის ოსტატის წოდება. მათ შორის არის თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი პ. ასათიანი.

□ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა დაასახელა რესპუბლიკის უძლიერეს ჩოგბურთელთა სია (ათ-ათი კაცი). ქალთა შორის პირველი სამი ადგილი უჭირავთ რ. აბუანდაძეს, ა. ივანოვას და ნ. თუხარელს, ვაჟთა შორის — ა. მეტრეველს, თ. კაკულიასა და ვ. პერეგუდოვს.

ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲤᲘᲚᲐᲢᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

1 იანვარი

11.00 — „მოგილოცავთ ახალ წელს“, 11.05 — „ნაძვის ხის ზეიმზე“ — ტრანსლაცია თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლიდან, 12.00 — საახალწლო კონცერტი (გადმოცემა ჩეხოსლოვაკიიდან), 13.00 — ქართული კინოკომედია „აბეზარი“, 16.05 — გადაცემათა პროგრამა, 16.10 — ბავშვებისათვის — ახალი ნახატი ფილმების პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.10 — მუსიკალური გადაცემა „გამა ყინულზე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.10 — ეკრანზეა სატელევიზიო ფილმების მეორე საკავშირო ფესტივალის ლაურეატი — ფილმი „კედელი“ — საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები, 18.30 — ნახატი ფილმი, 18.40 — „ჩვენი სტუმარია „ორერა“ — საესტრადო კონცერტი, 19.30 — „იყო თუ არა ეკა?“ — სატელევიზიო სპექტაკლის პრემიერა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.50 — საახალწლო კონცერტი, 21.30 — საინფორმაციო პროგრამა „დრო“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — „საახალწლო კალეიდოსკოპი“ — საესტრადო პროგრამა.

2 იანვარი

10.00 — დოკუმენტური ფილმი, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — მოსწავლეთათვის — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მივიწყებული ციხე-სიმაგრის აჩრდილები“ (პირველი ნაწილი), 11.50—სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ციცელნი დაიწყება ღამით“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ყველაზე პატარებისათვის „ცეროდენას ეკრანი“, 18.20 — ბავშვებისათვის —„საახალწლო ნობათი“ კონცერტი, 19.00 — ბავშვებისათვის „იქნებ თქვენც გაიკეთოთ!“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.30— ნახატი ფილმი, 19.50 — ლიტერატურული კონცერტი, 20.30 — კინონარკვევი, 20.55 — კონცერტი ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით, 21.30 — საინფორმაციო პროგრამა „დრო“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.25 — ქართული მხატვრული ფილმი „თოჯინები იცინიან“.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

2 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — წითელქუდა (დღისით), ჩიო-ჩიო-სან (საღამოს), რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მეტეხის ჩრდილში (დღისით), მზიანი ღამე (საღამოს), რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — ჭინჭრაქა (დღისით).

უსიტყვოდ. ნახატი გ. ფირცხალავასი.

მხატვრის უნყინარი ღიმილი

ექიმი ავადმყოფს: ფული? ან როგორ იკადრე, ან როგორ მაკადრე, გენაცვალე!

ᲜᲔᲢᲐᲕᲘ ᲐᲒᲕᲘᲮᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ:

— თუ ძმა ხარ, ერთი თბილისური პალტო მომიხერხე!

მომხმარებელი ოფიციანტს: მომეცით, გეთაყვა, თქვენი მადლობის წიგნი... ნახატები ო. მეხეთა.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

1 იანვარი

11.00 — „მოგილოცავთ ახალ წელს“, 11.05 — „ნაძვის ხის ზეიმზე“ — ტრანსლაცია თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლიდან, 12.00 — საახალწლო კონცერტი (გადმოცემა ჩეხოსლოვაკიიდან), 13.00 — ქართული კინოკომედია „აბეზარი“, 16.05 — გადაცემათა პროგრამა, 16.10 — ბავშვებისათვის — ახალი ნახატი ფილმების პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.10 — მუსიკალური გადაცემა „გამა ყინულზე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.10 — ეკრანზეა სატელევიზიო ფილმების მეორე საკავშირო ფესტივალის ლაურეატი — ფილმი „კედელი“ — საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები, 18.30 — ნახატი ფილმი, 18.40 — „ჩვენი სტუმარია „ორერა“ — საესტრადო კონცერტი, 19.30 — „იყო თუ არა ეკა?“ — სატელევიზიო სპექტაკლის პრემიერა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.50 — საახალწლო კონცერტი,

ᲠᲐ ᲕᲘᲪᲘᲡᲗ, ᲠᲐ ᲗᲝᲕᲘᲡᲬᲘᲠᲗᲗ

2 იანვარი

10.00 — დოკუმენტური ფილმი, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — მოსწავლეთათვის — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მივიწყებული ციხე-სიმაგრის აჩრდილები“ (პირველი ნაწილი), 11.50—სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ციცელნი დაიწყება ღამით“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ყველაზე პატარებისათვის „ცეროდენას ეკრანი“, 18.20 — ბავშვებისათვის —„საახალწლო ნობათი“ კონცერტი, 19.00 — ბავშვებისათვის „იქნებ თქვენც გაიკეთოთ!“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.30— ნახატი ფილმი, 19.50 — ლიტერატურული კონცერტი, 20.30 — კინონარკვევი, 20.55 — კონცერტი ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით, 21.30 — საინფორმაციო პროგრამა „დრო“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.25 — ქართული მხატვრული ფილმი „თოჯინები იცინიან“.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

2 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — წითელქუდა (დღისით), ჩიო-ჩიო-სან (საღამოს), რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მეტეხის ჩრდილში (დღისით), მზიანი ღამე (საღამოს), რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — ჭინჭრაქა (დღისით).

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.